



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" - საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამა;

"დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და
სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)" - მასწავლებლის მომზადების
ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"განათლების ადმინისტრირება" - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

"განათლების მეცნიერება" - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები:

"დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული
ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I - IV კლასები)";

"საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება,
ბიოლოგია, ფიზიკა)";

"დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი
და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)";

"სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა".

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2025 წლის 22 - 25 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2025 წლის 11 ივლისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	8
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	15
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	55
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	Error! Bookmark not defined.
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	80
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	97
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	129

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პიტერ ვან პეტეგემი, ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარინე გოგნელაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო ბაზაძე, ევროპული სკოლა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკატერინე ფიფია, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რუსუდან სანაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით)	განათლების ადმინისტრირება	განათლების მეცნიერება	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)	საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
უმდალესი განათლების საფეხური	საბაკალავრო	ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო	სამაგისტრო	სადოქტორო	მასწავლებლის მომზადება	მასწავლებლის მომზადება	მასწავლებლის მომზადება	მასწავლებლის მომზადება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი	განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხური (I - VI კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების სწავლების უფლებით)	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი	განათლების მეცნიერების დოქტორი				
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით	0188 ინტერდისციპლინური - მოიცავს განათლებას	0111 განათლების მეცნიერება				

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიმართება	–	დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყვე ლებისა და საზოგადოებრივ ი მეცნიერებების I - VI კლასების მასწავლებელი	–	–	დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყვე ლების I-IV კლასების მასწავლებელი	ინგლისური ენის დაწყებითი საბაზო- საშუალო საფეხურის მასწავლებელი გერმანული ენის დაწყებითი, საბაზო- საშუალო საფეხურის მასწავლებელი რუსული ენის დაწყებითი საბაზო- საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქართულის, როგორც მეორე / უცხო ენის დაწყებითი საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი მუსიკის დაწყებითი საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი კომპიუტერული ტექნოლოგიების დაწყებითი საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი	ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი მათემატიკის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი გეოგრაფიის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი ბიოლოგიის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი ფიზიკის საბაზო - საშუალო საფეხურის მასწავლებელი	სპეციალური მასწავლებელი
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული

ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი	300 კრედიტი	120 კრედიტი	60 კრედიტი	60 კრედიტი	60 კრედიტი	60 კრედიტი	60 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არ აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახა ლი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული	აკრედიტებული	ახალი	ახალი	აკრედიტებულ ი	ახალი	ახალი	ახალი

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები გაერთიანებულია განათლების მეცნიერებათა დეტალურ სფეროში.

კლასტერში დაჯგუფებული რვა საგანმანათლებლო პროგრამიდან სამი პროგრამა გადის რეაკრედიტაციის პროცესს:

1. "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 6 24 0000719125, 21/06/2024);
2. "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I - IV კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა" (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N94, 03.08.2018);
3. "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I - IV კლასები)" (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N361578, 04.05.2020);

კლასტერში გაერთიანებული რვა საგანმანათლებლო პროგრამიდან 5 პროგრამა ახალია და გადის აკრედიტაციის პროცესს:

1. "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა;
2. "განათლების მეცნიერების" სადოქტორო პროგრამა;
3. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა) საგანმანათლებლო პროგრამა;
4. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამა;
5. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი.

"ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2024 წლის 21 ივნისს (MES 6240000719125). პროგრამა წარმოდგენილია რეაკრედიტაციის მიზნით და მასში გათვალისწინებულია გარე შეფასების ფარგლებში გაცემული (აკრედიტაციის ექსპერტები) რეკომენდაციები. პროგრამა დადებითად შეაფასა ნინო ლაბარტყავამ (ექსპერტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სკოლამდელი განათლების და განვითარების ქვეპროგრამის მენეჯერი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი). შეფასების პროცესში, მას არ გაუცია რეკომენდაციები / რჩევები.

ილიას უნივერსიტეტს აქვს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება.

ამჟამად, ხორციელდება 4 პროგრამა:

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I - IV კლასები), რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის 4 მაისს (გადაწყვეტილება N 361578) კლასტერში წარმოდგენილია რეაკრედიტაციის მიზნით.
2. 2016 წლის 17 მარტს (გადაწყვეტილება N 6) აკრედიტებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგი საგნობრივი მიმართულებებით: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული როგორც მეორე / უცხო ენა, კლასტერში წარმოდგენილია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სახით.
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა), აკრედიტებულია 2022 წლის 22 მაისს (გადაწყვეტილება N408238) და კლასტერში წარმოდგენილია ახალი პროგრამის სახით.
4. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), აკრედიტებულია 2022 წლის 22 მაისს (გადაწყვეტილება N408238) და კლასტერში წარმოდგენილია ახალი პროგრამის სახით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო საგნის საფეხურ(ებ)ის შესაბამისად განისაზღვრა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებში საგნობრივი მიმართულებების დაჯგუფების ძირითადი კრიტერიუმი და შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ახალი პროგრამა:

1. საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა).
2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები).

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა დასაბუთება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ახალი პროგრამების სახით წარმოდგენის თაობაზე.

"სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა" ახალია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს როგორც მომზადების პროგრამების, ასევე, ბავშვის განვითარებაზე დაფუძნებული სპეციალური მასწავლებლების მომზადების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების გამოცდილება.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები დადებითად შეაფასა მაია ზიზიბაძემ (ექსპერტ - კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი, განათლების ციფრული სახლის ქვეპროგრამა, სსიპ - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) და შეფასების პროცესში მის მიერ არ გაცემულა რეკომენდაციები / რჩევები.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარადგინა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში 2023 - 2024 სასწავლო წლისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 22-25 აპრილს. ჩატარდა გასაუბრებები კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, მათ შორის ოფისები, აუდიტორიები, კომპიუტერული რესურსების ცენტრები, ბიბლიოთეკა და კვლევით ლაბორატორიები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ზუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ინდივიდუალური კვლევის კომპონენტი, რომ თითოეული სტუდენტი ფლობდეს კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარებს, რომლებიც აუცილებელია კვლევითი სწავლის შედეგის მისაღწევად.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ინდივიდუალური კვლევის კომპონენტი, რომ თითოეული სტუდენტი ფლობდეს კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარებს, რომლებიც აუცილებელია კვლევითი სწავლის შედეგის მისაღწევად.

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო გეგმის რუკა, რომ ძირითადი სასწავლო გეგმის მეშვეობით უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების სრული შესაბამისობა და მიღწევა. რეკომენდებულია, ყოვლისმომცველი შეფასების და მე - 3 სწავლის შედეგთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგოს მრავალმხრივი შეფასების მიდგომები. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო წერას სხვადასხვა აუდიტორიისთვის, კონფერენციებზე ზეპირ პრეზენტაციებს და საზოგადოების ჩართულობის აქტივობებს.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- სრულფასოვანი აკადემიური განვითარების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად სტუდენტის წინა განათლების საფუძვლისა, რეკომენდებულია განსაზღვრული იქნას მინიმალური კრედიტების მოთხოვნა არჩევითი ბლოკის იმ საბაზისო კურსებიდან, რომლებიც მოიცავს საგანმანათლებლო თეორიას, განვითარებას, პოლიტიკასა და სწავლების მეთოდებს.

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, დეტალურად განისაზღვროს პორტფოლიოს დაცვის პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, დეტალურად განისაზღვროს პორტფოლიოს დაცვის პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, დეტალურად განისაზღვროს პორტფოლიოს დაცვის პროცესთან დაკავშირებული საკითხები.

-

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, პედაგოგიკის მოდულების სავალდებულო კურსებში, საგნობრივ მოდულებში ან სასკოლო პრაქტიკუმის ბლოკებში გათვალისწინებული იყოს კონცეპტუალურ პედაგოგიკაზე დაფუძნებული მიდგომა, უსაფრთხო სკოლის წესები, SOLO ტაქსონომია, ევროკავშირის ძირითადი და დემოკრატიულ - კულტურული კომპეტენციები, მდგრადი განვითარების მიზნები და ბავშვთა უფლებები.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, პედაგოგიკის მოდულების სავალდებულო კურსებში, საგნობრივ მოდულებში ან სასკოლო პრაქტიკუმის ბლოკებში გათვალისწინებული იყოს კონცეპტუალურ პედაგოგიკაზე დაფუძნებული მიდგომა, უსაფრთხო სკოლის წესები,

SOLO ტაქსონომია, ევროკავშირის ძირითადი და დემოკრატიულ - კულტურული კომპეტენციები, მდგრადი განვითარების მიზნები და ბავშვთა უფლებები.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, პედაგოგიკის მოდულების სავალდებულო კურსებში, საგნობრივ მოდულებში ან სასკოლო პრაქტიკუმის ბლოკებში გათვალისწინებული იყოს კონცეპტუალურ პედაგოგიკაზე დაფუძნებული მიდგომა, უსაფრთხო სკოლის წესები, SOLO ტაქსონომია, ევროკავშირის ძირითადი და დემოკრატიულ - კულტურული კომპეტენციები, მდგრადი განვითარების მიზნები და ბავშვთა უფლებები.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს უფრო მიზანმიმართული საგანმანათლებლო მოთხოვნები, რათა გაძლიერდეს ლოგიკური კავშირი ჩარიცხვის წინაპირობებსა და პროგრამის შინაარსს შორის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების უკეთ მომზადებას დოქტორანტურის წარმატებით გასავლელად.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

- რეკომენდებულია, გადაიხედოს მოქმედებაზე დაფუძნებული კვლევის, როგორც დომინანტური კვლევითი მიდგომის გამოყენება, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ კვლევითი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მთელ სპექტრს.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

- რეკომენდებულია, გადაიხედოს მოქმედებაზე დაფუძნებული კვლევის, როგორც დომინანტური კვლევითი მიდგომის გამოყენება, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ კვლევითი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მთელ სპექტრს.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- რეკომენდებულია, გადაიხედოს მოქმედებაზე დაფუძნებული კვლევის, როგორც დომინანტური კვლევითი მიდგომის გამოყენება, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ კვლევითი მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მთელ სპექტრს.

2.4. სტუდენტების შეფასება

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ჯგუფური შეფასებიდან ინდივიდუალური შეფასების მეთოდებზე გადასვლა ან ისეთი მექანიზმების განერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტის ქულა ზუსტად ასახავდეს მათ პირად წვლილსა და ძალისხმევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპზე, რითაც შენარჩუნდება აკადემიური შეფასების სამართლიანობა, ვალიდურობა და საიმედოობა.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ჯგუფური შეფასებიდან ინდივიდუალური შეფასების მეთოდებზე გადასვლა ან ისეთი მექანიზმების განერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტის ქულა ზუსტად ასახავდეს მათ პირად წვლილსა და ძალისხმევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპზე, რითაც შენარჩუნდება აკადემიური შეფასების სამართლიანობა, ვალიდურობა და საიმედოობა.

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, შეიცვალოს პორტფოლიოს ფორმატი და მასში აისახოს სწავლების წინა, მიმდინარე და შემდგომ რეფლექსიები, პროგრამის სწავლის შედეგებთან მტკიცებულებების მკაფიო შესაბამისობა და შეფასების რუბრიკები, რითაც იზომება პროფესიული ზრდა და ხდება უკუკავშირის გათვალისწინება. რეკომენდებულია, განხორციელდეს პორტფოლიოს ხელმძღვანელობის და შეფასების ფორმალიზება.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, შეიცვალოს პორტფოლიოს ფორმატი და მასში აისახოს სწავლების წინა, მიმდინარე და შემდგომ რეფლექსიები, პროგრამის სწავლის შედეგებთან მტკიცებულებების მკაფიო შესაბამისობა და შეფასების რუბრიკები, რითაც იზომება პროფესიული ზრდა და ხდება უკუკავშირის გათვალისწინება. რეკომენდებულია, განხორციელდეს პორტფოლიოს ხელმძღვანელობის და შეფასების ფორმალიზება.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, შეიცვალოს პორტფოლიოს ფორმატი და მასში აისახოს სწავლების წინა, მიმდინარე და შემდგომ რეფლექსიები, პროგრამის სწავლის შედეგებთან მტკიცებულებების მკაფიო შესაბამისობა და შეფასების რუბრიკები, რითაც იზომება პროფესიული ზრდა და ხდება უკუკავშირის გათვალისწინება. რეკომენდებულია, განხორციელდეს პორტფოლიოს ხელმძღვანელობის და შეფასების ფორმალიზება.

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

- რეკომენდებულია, შეიცვალოს პორტფოლიოს ფორმატი და მასში აისახოს სწავლების წინა, მიმდინარე და შემდგომ რეფლექსიები, პროგრამის სწავლის შედეგებთან მტკიცებულებების მკაფიო შესაბამისობა და შეფასების რუბრიკები, რითაც იზომება პროფესიული ზრდა და ხდება უკუკავშირის გათვალისწინება. რეკომენდებულია, განხორციელდეს პორტფოლიოს ხელმძღვანელობის და შეფასების ფორმალიზება.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

- რეკომენდებულია, სტუდენტებმა სამაგისტრო ნაშრომები შეასრულონ ინდივიდუალურად, იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს თითოეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების პროცესში.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

- რეკომენდებულია, სტუდენტებმა სამაგისტრო ნაშრომები შეასრულონ ინდივიდუალურად, იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს თითოეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების პროცესში.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

- სასურველია, შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ჩამოყალიბებული დებულება „რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, ისეთი ფორმულირებით, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიღწევადობის შეფასება.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

- სასურველია, შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ჩამოყალიბებული დებულება „რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“, ისეთი ფორმულირებით, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიღწევადობის შეფასება.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

- სასურველია, შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ჩამოყალიბებული დებულება „რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“, ისეთი ფორმულირებით, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიღწევადობის შეფასება.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

- სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების პირველი სწავლის შედეგი, პიროვნების განვითარების და განათლების აუცილებელ თეორიებთან ერთად, მოიცავდეს პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებს, კონკრეტულად ძირითად ცნებებს, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება.
- სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს დაემატოს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომპეტენცია, რაც წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიის აუცილებელ ღირებულებას და დამოკიდებულებას.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

- სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების პირველი სწავლის შედეგი, პიროვნების განვითარების და განათლების აუცილებელ თეორიებთან ერთად, მოიცავდეს პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებს, კონკრეტულად ძირითად ცნებებს, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება.
- სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს დაემატოს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომპეტენცია, რაც წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიის აუცილებელ ღირებულებას და დამოკიდებულებას.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

- სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების პირველი სწავლის შედეგი, პიროვნების განვითარების და განათლების აუცილებელ თეორიებთან ერთად, მოიცავდეს პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებს, კონკრეტულად ძირითად ცნებებს, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება.
- სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს დაემატოს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომპეტენცია, რაც წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიის აუცილებელ ღირებულებას და დამოკიდებულებას.

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

კლასტერული

- სასურველია, პროგრამებში განისაზღვროს სამიზნე ნიშნულისგან გადახრის შესაძლო ზღვრები, სამიზნე ნიშნულის მიუღწევლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები.

საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს არაპირდაპირი შეფასების მეთოდების მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმი.

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერის მიზნით ჩატარდეს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვის და ანალიზის უნარების განსავითარებლად.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- სასურველია, სადოქტორო პროგრამის მაღალი მოლოდინების შესაბამისად, გაიზარდოს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ზღვარი იმგვარად, რომ დოქტორანტების მინიმუმ 70% - მა მიიღოს კარგი (cum laude) ან უფრო მაღალი შეფასება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მაღალი აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებას და სადოქტორო დონის კომპეტენციების უფრო ზუსტ შეფასებას.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა საგნის სწავლების ბლოკებთან დაკავშირებით საკონტაქტო საათების განხილვისას ჰოლისტური მიდგომა გამოიყენონ.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა საგნის სწავლების ბლოკებთან დაკავშირებით საკონტაქტო საათების განხილვისას ჰოლისტური მიდგომა გამოიყენონ.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელებმა საგნის სწავლების ბლოკებთან დაკავშირებით საკონტაქტო საათების განხილვისას ჰოლისტური მიდგომა გამოიყენონ.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

- სასურველია, გაიზარდოს შეფასების რუბრიკის ქულების დიაპაზონი 0 -3 -დან 1 - 3 ქულამდე, იმისათვის, რომ მოხდეს კანდიდატების მიღწევის დონეებს შორის განსხვავებების დადგენა.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- სასურველია, 2.1 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად, უფრო მიზნობრივი საგანმანათლებლო წინაპირობის დაწესება, რაც ხელს შეუწყობს სწავლების სადოქტორო საფეხურზე მოწინავე კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

2.4. სტუდენტების შეფასება

კლასტერული:

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს აკადემიურ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მკაფიო და დეტალური პოლიტიკა, განსაკუთრებით შეფასებებისთვის. აღნიშნული უნდა მოიცავდეს დასაშვებ გამოყენებას, ციტირების მოთხოვნებს და პოლიტიკის დარღვევის შედეგებს.
- სასურველია, შეიქმნას რესურსები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს გაიგონ, როგორ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები თავიანთ აკადემიურ ნაშრომებში, ეთიკური პრინციპების დაცვით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტუდენტებისთვის სავალდებულო აკადემიური კეთილსინდისიერების ტრენინგ პროგრამები და / ან აქტიური საინფორმაციო შეხვედრები კვლევის ეთიკის, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვისა და პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

- სასურველია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს პროგრამის ის კომპონენტები რომლებიც შეეფერება ციფრულ ტრანსფორმაციას, ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს

კანონით დადგენილი კრედიტების შეზღუდვები, იმისათვის, რომ ციფრულ რეჟიმში განხორციელდეს შეესაბამებოდეს დადგენილ აკადემიურ და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

- სასურველია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს პროგრამის ის კომპონენტები, რომლებიც შეეფერება ციფრულ ტრანსფორმაციას, ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით დადგენილი კრედიტების შეზღუდვები, იმისათვის, რომ ციფრულ რეჟიმში განხორციელდეს შეესაბამებოდეს დადგენილ აკადემიურ და მარეგულირებელ მოთხოვნებს.

კლასტერული:

5.2. გარე ხარისხის შეფასება

- სასურველია, პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასება, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების მიერ ლექციებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთისთვის უკუკავშირის გაზიარებას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)¹**

კლასტერში გაერთიანებული პროგრამები იმსახურებს მაღალი დონის შეფასებას კვლევაზე და განათლებაზე აქცენტებისთვის და სწავლებაში კვლევის გაერთიანებისთვის, რაც შეესაბამება ჰუმბოლდტის მოდელს. საკურსო ნაშრომებში მიმდინარე კვლევის შედეგების გათვალისწინებით, პროგრამები უზრუნველყოფენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული აკადემიური სწავლების და მეცნიერული და სოციალური აქტუალობის შენარჩუნებას. აღნიშნული მიდგომა არა მხოლოდ აძლიერებს სტუდენტების აკადემიურ მომზადებას, არამედ აღრმავებს მათ გაგებას იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება კვლევითი შედეგების გამოყენება არსებული რეალური გამოწვევების გადასაჭრელად. ასევე, აღსანიშნავია პროგრამების საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, საზოგადოების ჩართულობაზე და განათლებაზე გავლენის მოხდენის ორიენტაცია. თანამედროვე საზოგადოებისთვის ღირებულების შექმნის სურვილით და მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერით (მოსწავლეები, პედაგოგები, სკოლები, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებები, ასევე ფართო საზოგადოება), წარმოდგენილ პროგრამებს გააჩნიათ

¹ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

შესაძლებლობა გარდაქმნან უმაღლესი განათლება ცოდნის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განვითარებით.

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და დასკვნა რჩება უცვლელი.

• ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერული შეფასება

სტანდარტი / კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების პროგრამების კლასტერი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც მოიცავს ცოდნის შექმნას, გადაცემას და გამოყენებას საზოგადოების განვითარების მიზნით. კვლევითი ინიციატივების მეშვეობით, პროგრამებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ დარგის განვითარებაში, რაც ზრდის საგანმანათლებლო დაწესებულების კვლევით შესაძლებლობებს და ხელს უწყობს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ ცვლილებებს. სასკოლო პრაქტიკის მოდელი, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის და სკოლის თანამშრომლობის მაგალითს, უზრუნველყოფს როგორც სტუდენტებისთვის უნარების შეძენას, ასევე, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განათლების კვლევითი ცენტრი (SALiS) მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს ტექნოლოგიების გადაცემას და მეთოდოლოგიურ ინოვაციას. პროგრამის მიზნები შეესაბამება ბიზნესის, ტექნოლოგიების და განათლების ფაკულტეტის სტრატეგიას, ცვალებადი გარემოსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები. განათლების სკოლის მისია პროფესიული მომზადების პროცესში აერთიანებს კვლევას, სწავლებას და პრაქტიკას. პროგრამებს აქვთ განსხვავებული აქცენტი: საბაკალავრო პროგრამებში აქცენტი კეთდება ფართო ცოდნასა და ტრანსფერულ უნარებზე; სამაგისტრო პროგრამები მიმართულია სპეციალიზაციაზე და კვლევით შესაძლებლობებზე; მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამები

ავითარებს პედაგოგიურ კომპეტენციებს და სადოქტორო პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს ცოდნის შექმნას და კვლევის განხორციელებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს და დარგობრივ შეფასებებს, გამოკითხვებში დამსაქმებლების და პრაქტიკოსების ჩართულობით. პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები ეფუძნებოდა ცოდნის გადაცემის და კვლევითი კომპეტენციების განვითარების მიმართულებით გამოვლენილ გამოწვევებს. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება ეფუძნება გლობალურ საუკეთესო პრაქტიკებთან შედარებას და გარე ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებებს. ინფორმაცია პროგრამების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას.

კლასტერში დაჯგუფებული მასწავლებლის განათლების პროგრამები, რომლებიც მოიცავს ადრეული ბავშვობის, დაწყებითი, საბაზო / საშუალო საფეხურის, სპეციალური და საგნობრივი განათლების მიმართულებებს, შეესაბამება მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, (უფროსი) მასწავლებლების პროფესიულ სტანდარტებს და სპეციალური განათლების სტანდარტებს . თითოეულ პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოაყალიბები მიზნები და სწავლის შედეგები და ორიენტირებულია შესაბამისი პედაგოგიური, მეთოდოლოგიური და ტრანსფერული კომპეტენციების მქონე პროფესიონალების მომზადებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

“ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს დარგობრივი ცოდნის შექმნასა და გამოყენებითი და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას, რაც აუცილებელია კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მოსამზადებლად, რომლებიც შეძლებენ წარმატებით დასაქმდნენ შრომის ბაზარზე და ხელი შეუწყონ განათლების შემდგომ საფეხურზე აკადემიურ განვითარებას.

პროგრამის მიზანია სკოლამდელი განათლების სფეროში კონკურენტუნარიანი, რეფლექსიური და შემოქმედებითი სპეციალისტის მომზადება, რომელიც:

- პრაქტიკაში, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით, შეძლებს ბავშვის ჰოლისტური განვითარების და კეთილდღეობის მხარდაჭერას.
- ფლობს ადრეული ბავშვობის განათლების სისტემურ ხედვას, რაც მას საშუალებას აძლევს გააცნობიეროს სხვადასხვა სისტემების სპეციფიკა, მრავალფეროვნება და ზეგავლენა.
- დაეუფლოს საკუთარი და სხვების ავტონომიურობის, ცნობისმოყვარეობის, თვითგამოხატვის და ტოლერანტობის ხელშემწყობ სტრატეგიებს, როგორც ადრეული განათლების პროფესიული საქმიანობის მთავარ მახასიათებლებს.
- შეძლოს პროფესიულ პრაქტიკაში გამოწვევებთან გამკლავება და წარმატებული საქმიანობისთვის მტკიცებულებაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება და / ან განხორციელება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო

პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი მასწავლებლების მომზადებაზე, რომლებიც დაწყებით განათლებაში ფლობენ თანამედროვე ცოდნას და უნარებს. პროგრამის მიზანი, მოამზადოს უახლესი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი დაწყებითი სკოლის მასწავლებლები წარმოადგენს დარგის შესაბამის კონკრეტულ და მიღწევად მიზანს. ოთხი მთავარი კომპეტენცია (საგნობრივი და პროფესიული კომპეტენცია, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, პოზიტიური სასწავლო გარემო და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება) სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის და შეფასებისთვის უზრუნველყოფს მკაფიო მიმართულებას.

პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია დაწყებითი განათლების მოთხოვნები კონკრეტულ საგნობრივ მიმართულებებზე ორიენტაციით (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება (I - VI კლასები) და სოციალური მეცნიერებები (I - VI კლასები) ან სპეციალური განათლება). აღნიშნული სპეციალიზაცია ასახავს დაწყებით საფეხურზე სწავლების განსხვავებულ ბუნებას და აღიარებს საგნობრივი გამოცდილების მნიშვნელობას. პროგრამა მკაფიოდ ასახავს სასურველ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, მათ შორის: სწავლებაში საგნობრივ და პროფესიულ კომპეტენციას, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების უნარს, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის უნარებს, მონაცემებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარს, ტრანსფერულ უნარებს (ხეპირი და წერიტი კომუნიკაცია, რაოდენობრივი მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა და პრობლემების გადაჭრა). აღნიშნული კომპეტენციები ფართოდ მოიცავს დაწყებითი განათლებისთვის საჭირო სპეციალიზირებულ ცოდნას და უფრო ფართო პროფესიულ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ეფექტური სწავლებისთვის. სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელების და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარებით აღჭურვილი მასწავლებლის მომზადებით, პროგრამის მიზნები ხელს უწყობს დაწყებითი განათლების ხარისხის ამაღლებას. თუმცა, უნდა შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის ჯგუფურად შესრულების მიდგომა (2 - 3 სტუდენტი ერთ ნაშრომზე), ვინაიდან აღნიშნულმა შესაძლოა ხელი შეუშალოს სტუდენტის ინდივიდუალური კვლევის უნარების განვითარებას და პირადი კვლევითი კომპეტენციების შეფასებას (იხ. 1.2 კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაცია).

კონკურენტუნარიან, თანამედროვე ცოდნაზე და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე ორიენტაცია შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. საგნობრივ (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები) და სპეციალურ განათლებაზე აქცენტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებში მრავალმხრივი უნარების განვითარებას, რაც პასუხობს განათლების

სფეროში არსებულ სხვადასხვა დასაქმების საჭიროებებს. პროგრამაში ინგლისურენოვანი კომუნიკაციის უნარების გათვალისწინება მიუთითებს საერთაშორისო აქცენტზე, რომელიც კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ განათლების მიმართულებით გლობალურ კვლევაში და პრაქტიკაში. მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომა ასევე აჩვენებს მასწავლებლის მომზადების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას.

პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას პოტენციური სტუდენტებისთვის, დამსაქმებლებისთვის და განათლების სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. როგორც გასაუბრების დროს დადასტურდა, პროგრამის მიზნები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებაზე ზოგადი ან უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სფეროში. პროგრამის მიზანი განათლების ადმინისტრირების სფეროში მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები წარმოდგენს კონკრეტულ, მიღწევად მიზანს, რომელიც შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს. მიზნები ორიენტირებულია სამ ძირითად კომპეტენციაზე: კვლევაზე დაფუძნებული მართვა, ეთიკური პრინციპების მქონე ლიდერობა და დამოუკიდებელი პროფესიული განვითარება. ზოგად და უმაღლესი განათლების კონტექსტზე ორიენტაციით, პროგრამის მიზნები ასახავს განათლების ლიდერობის და მართვის სპეციალიზირებულ ბუნებას. პროგრამის მიზნები მკაფიოდ ითვალისწინებს სასურველ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, მათ შორის კვლევის შედეგებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესების მართვას, განათლების სფეროსთვის დამახასიათებელ ლიდერობის კომპეტენციებს, პროფესიულ და აკადემიურ ეთიკურ პრინციპებს და დამოუკიდებელი პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნული კომპეტენციები მოიცავს როგორც განათლების ადმინისტრირების სპეციალიზირებულ ცოდნას, ასევე, სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელ გაძლიერებულ პროფესიულ შესაძლებლობებს. ადმინისტრატორების მომზადებით, რომლებსაც შეუძლიათ კვლევაზე დაფუძნებით საგანმანათლებლო პროცესების გარდაქმნა, პროგრამა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მტკიცებულებაზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას. თუმცა, უნდა შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის ჯგუფურად შესრულების მიდგომა (2 - 3 სტუდენტი ერთ ნაშრომზე), ვინაიდან აღნიშნულმა შესაძლოა ხელი შეუშალოს სტუდენტის ინდივიდუალური კვლევის უნარების განვითარებას და პირადი კვლევითი კომპეტენციების შეფასებას (იხ. 1.2 კომპონენტში წარმოდგენილი რეკომენდაცია).

პროგრამა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებაზე, კვლევაზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე და ეთიკურ ლიდერობაზე რაც შეესაბამება

უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სფეროში, კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებაზე ფოკუსირება მიუთითებს, რომ დაწესებულება ორიენტირებულია დასაქმების სხვადასხვა სექტორზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მკაფიოდ არ არის მითითებული, განათლების ადმინისტრირებაში კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა აჩვენებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შესაბამისობას. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას პოტენციური სტუდენტებისთვის, დამსაქმებლებისთვის და განათლების სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. როგორც გასაუბრების დროს დადასტურდა, პროგრამის მიზნები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

"განათლების მეცნიერების" სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი მკვლევრების და მეცნიერების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ განათლების მეცნიერების სფეროში ინოვაციური კვლევების ჩატარება და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში წვლილის შეტანა. აქცენტი კვლევის შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში გაზიარებაზე აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებს და მიზნად ისახავს განათლების სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანას. აკადემიურ წარმატებაზე და პრაქტიკულ გამოყენებაზე პროგრამის ორმაგი ფოკუსირება სხვადასხვა ორგანიზაციულ კონტექსტში (კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო) აჩვენებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას და ასახავს განათლების მეცნიერების კურსდამთავრებულების კარიერული წინსვლის მრავალმხრივ გააზრებას. თუმცა, სასწავლო გეგმის სტრუქტურული მოქნილობა წარმოადგენს გამოწვევას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კურსდამთავრებულის ყოვლისმომცველ სამეცნიერო განვითარებას. პროგრამის მოქნილობა, რომელიც გარკვეულწილად შეიძლება უპირატესობად იყოს მიჩნეული, წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას პროგრამის მიზნების მისაღწევად. 60 კრედიტიდან 36 თავისუფალი კრედიტი, სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ აკადემიური მიმართულება. აღნიშნული სტრუქტურა აჩენს კითხვებს, თუ რამდენად შეძლებს ყველა კურსდამთავრებული განვითარდეს სამეცნიერო მიმართულებით, რომელიც აუცილებელია განათლების მეცნიერების სფეროში კონკურენტული კვლევის განსახორციელებლად (იხილეთ 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია). პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას პოტენციური სტუდენტებისთვის, დამსაქმებლებისთვის და განათლების სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. როგორც გასაუბრების დროს დადასტურდა, მიზნები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

პროგრამა მიზნად ისახავს დაწყებითი სკოლის (I - IV კლასები) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლების მომზადებას, რომლებიც ფლობენ წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ კომპეტენციებს და შეუძლიათ ეფექტურად უპასუხონ მასწავლებლების მიმართ წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მათ საშუალებას აძლევს:

- შექმნან პოზიტიური სასწავლო გარემო;
- დაგეგმონ, ჩაატარონ და შეაფასონ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი;
- რეფლექსიის მეშვეობით ჩაერთონ თვითშეფასებაში, შეიმუშავონ და დაგეგმონ შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი.

გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს მასწავლებლებისთვის აუცილებელი ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის ეფექტურ ზეპირ და წერით კომუნიკაციას, ანალიტიკურ, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ეფექტურ გუნდურ მუშაობას, გუნდის შექმნის უნარებს და პრობლემის გამოვლენის, დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაჭრის უნარს.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და უფროსი მასწავლებლებისთვის დადგენილი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

პროგრამა მიზნად ისახავს საბაზო და საშუალო საფეხურის შესაბამისი საგნობრივი მიმართულებების მასწავლებლების მომზადებას, რომლებიც ფლობენ წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ კომპეტენციებს და შეუძლიათ ეფექტურად უპასუხონ მასწავლებლების მიმართ წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მათ საშუალებას აძლევს:

- შექმნან პოზიტიური სასწავლო გარემო;
- დაგეგმონ, ჩაატარონ და შეაფასონ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი;
- რეფლექსიის მეშვეობით ჩაერთონ თვითშეფასებაში, შეიმუშავონ და დაგეგმონ შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი.

გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს მასწავლებლებისთვის აუცილებელი ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის ეფექტურ ზეპირ და წერით კომუნიკაციას, ანალიტიკურ, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ეფექტურ გუნდურ მუშაობას, გუნდის შექმნის უნარებს და პრობლემის გამოვლენის, დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაჭრის უნარს.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და უფროსი მასწავლებლებისთვის დადგენილი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

პროგრამა მიზნად ისახავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის შესაბამისი საგნობრივი მიმართულებების მასწავლებლების მომზადებას, რომლებიც ფლობენ წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ კომპეტენციებს და შეუძლიათ ეფექტურად უპასუხონ მასწავლებლების მიმართ წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მათ საშუალებას აძლევს:

- შექმნან პოზიტიური სასწავლო გარემო;
- დაგეგმონ, ჩაატარონ და შეაფასონ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი;
- რეფლექსიის მეშვეობით ჩაერთონ თვითშეფასებაში, შეიმუშავონ და დაგეგმონ შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი.

გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს მასწავლებლებისთვის აუცილებელი ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის ეფექტურ ზეპირ და წერით კომუნიკაციას, ანალიტიკურ, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, ეფექტურ გუნდურ მუშაობას, გუნდის შექმნის უნარებს და პრობლემის გამოვლენის, დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაჭრის უნარს.

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და უფროსი მასწავლებლებისთვის დადგენილი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

პროგრამა მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი სპეციალური განათლების მასწავლებლების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოზე

მორგებული ცოდნით და უნარებით და სიღმისეული და სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე შეძლებენ:

- შექმნან პოზიტიური სასწავლო გარემო;
- დაგეგმონ, ჩაატარონ და შეაფასონ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი;
- რეფლექსიის მეშვეობით ჩაერთონ თვითშეფასებაში, შეიმუშავონ და დაგეგმონ შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი.

გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს მასწავლებლებისთვის აუცილებელი ტრანსფერული, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შეესაბამება მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებლებს და უფროსი მასწავლებლებისთვის დადგენილი პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეხვედრები პროგრამების ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამების დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული.

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: სასურველია, შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ჩამოყალიბებული დებულება „რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“, ისეთი ფორმულირებით, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიღწევადობის შეფასება.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: სასურველია, შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ჩამოყალიბებული დებულება „რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“, ისეთი ფორმულირებით, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიღწევადობის შეფასება.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული,

როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: სასურველია, შეიცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში ჩამოყალიბებული დებულება „რომელსაც გააჩნია წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციები და შეუძლია უპასუხოს მასწავლებლისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს“, ისეთი ფორმულირებით, რომ შესაძლებელი გახდეს მისი მიღწევადობის შეფასება.

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული.

შეფასება ²

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო	x	☐	☐	☐
პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა	x	☐	☐	☐

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა(ქართუ ლი ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია , სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამებში განსაზღვრულ მიზნებს. აღნიშნული სწავლის შედეგები შემუშავებულია თითოეული სფეროს დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ისინი ასევე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერებს, მინიჭებულ კვალიფიკაციას და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს.

პროგრამის კომპონენტების სტრუქტურა, შინაარსი და ერთობლიობა შექმნილია სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც დადასტურებულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გაზომვადია, რეალისტური და შეესაბამება სწავლების დონეს, ასევე, თითოეული სფეროსთვის ითვალისწინებს საჭირო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. კონკრეტული კომენტარების ხილვა შესაძლებელია პროგრამის აღწერილობისა და ანალიზის სექციაში.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის სამუშაო ჯგუფები, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ასევე, შრომის ბაზრის ექსპერტები. აღნიშნული პროცესი ეფუძნებოდა სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს, ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებებს და პოტენციური დამსაქმებლების უკუკავშირს.

გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამების სასწავლო გეგმები (მათ შორის სწავლის შედეგები) გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და რეგულარულად ახლდება სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა სიდნეის, პლიმუთის და ნიუ ინგლენდის უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლის და გათვალისწინების საფუძველზე.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- უზრუნველყონ ბავშვების (დაბადებიდან 8 წლამდე) კეთილდღეობა და ჰოლისტური განვითარება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, ადრეული განათლების თეორიების და მოდელების (მათ შორის მულტილინგვურ განათლებასთან და მეორე ენის ათვისებასთან დაკავშირებული) საფუძველზე.
- თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით და მრავალფეროვანი თამაშის ხელშეწყობით შეაფასონ, დაგეგმონ და შექმნან ეფექტური, დემოკრატიული და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო.
- ბავშვებთან ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის დროს გამოიყენონ თანამედროვე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სტრატეგიები და მიდგომები.
- ოჯახებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან მუშაობის დროს გამოიყენონ სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემაზე, ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- განახორციელონ საკუთარი და სხვების პრაქტიკული საქმიანობის უწყვეტი შეფასება და ჩაერთონ რეფლექსიის და გამოცდილების გაზიარებაში, გუნდური მუშაობის მრავალფეროვანი პრინციპების და სტრატეგიების გამოყენებით.
- არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, კოლეგებთან თანამშრომლობით დაგეგმონ და განახორციელონ პრაქტიკული კვლევა.
- აჩვენონ შემოქმედებითობა, ავტონომიურობა და რეაგირებითი კომუნიკაცია, როგორც ბავშვების ავტონომიურობის, ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობის და თვითგამოხატვის წახალისების მხარდამჭერებმა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

პროგრამა ეფექტურად პასუხობს თავის ძირითად მიზნებს სამი მიმართულებით ჩამოყალიბებული სწავლის შედეგებით: სავალდებულო მოდულები (10 შედეგი), სოციალური მეცნიერებების სპეციალიზაცია (8 შედეგი) და სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადება (7 შედეგი). აღნიშნული ყოვლისმომცველი დაფარვა უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები განივითარებენ ცოდნის, უნარების და პროფესიული ავტონომიის სრულ სპექტრს, რომელიც საჭიროა დაწყებითი განათლების ეფექტური სწავლებისთვის. სწავლის შედეგები გაზომვადია კონკრეტული, მოქმედებაზე ორიენტირებული ენის მეშვეობით. სწავლის შედეგები სტრატეგიულად ამზადებს კურსდამთავრებულებს თანამედროვე სწავლების მოთხოვნებისთვის, მათ შორის ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისთვის და ინკლუზიური განათლების პრაქტიკებისთვის. კვლევის მეთოდოლოგიის კომპონენტი (მე - 8 შედეგი) და პროფესიული განვითარების დაგეგმვა (მე - 9 შედეგი) ეფექტურად ამზადებს კურსდამთავრებულებს მოწინავე სწავლის და კარიერული განვითარებისთვის.

დაწესებულებამ უნდა გადახედოს სამაგისტრო ნაშრომის კოლაბორაციული ფორმატს (2 - 3 სტუდენტი ერთ ნაშრომზე), ვინაიდან მე-4 სწავლის შედეგში აქცენტ კეთდება ინდივიდუალურ კვლევით შესაძლებლობებზე. არსებულმა მიდგომამ შეიძლება შეზღუდოს სამაგისტრო ნაშრომის სრულად შეფასება და თითოეული სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად საჭირო კვლევით კომპეტენციებს გამომუშავება. აღნიშნული კოლაბორაციული სტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, შეიძლება ვერ უზრუნველყოფდეს სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელი ინდივიდუალური კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარების განვითარებას. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48 - ე მუხლის მე - 5 პუნქტის თანახმად, “მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით“.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კოლაბორაციული მუშაობისას თითოეული წევრი, როგორც წესი, ორიენტირებულია თავისი ინდივიდუალური ძლიერი მხარეების და ცოდნის შესაბამისი ნაწილის დაწერაზე.

ინკლუზიური განათლების, მდგრადი განვითარების პრინციპების და ციფრული წიგნიერების ხაზგასმით, პროგრამა აჩვენებს თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებთან შესაბამისობას. სწავლების უნივერსალური დიზაინის და დიფერენცირებული სწავლების მიმართ განსაკუთრებული აქცენტი ასახავს დაწყებითი განათლებაში არსებულ მიმდინარე საუკეთესო პრაქტიკებს. სწავლის შედეგები შეესაბამება დაწყებითი სკოლის მასწავლებლის და სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების დარგობრივ მახასიათებლებს, რაც უზრუნველყოფს ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან და პროფესიულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გასაუბრებებისას დადასტურდა, რომ სწავლის შედეგები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

პროგრამის ხუთი სწავლის შედეგი ეფექტურად შეესაბამება სამაგისტრო დონის მიზნებს და მოიცავს განათლების ადმინისტრირებაში აუცილებელ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. შედეგები მოიცავს მნიშვნელოვან სფეროებს, მათ შორის ლიდერობას, სასწავლო გეგმის შემუშავებას, კვლევის მეთოდოლოგიას, კომუნიკაციას და პროფესიულ ეთიკას.

სწავლის შედეგები აჩვენებს ძლიერ შესაბამისობას განათლების ადმინისტრირების მაგისტრატურის დონის კვალიფიკაციებთან. სწავლის შედეგებში ასახულია სამაგისტრო საფეხურზე მოსალოდნელი მოწინავე ანალიტიკური, ლიდერობის და კვლევითი შესაძლებლობები და გაერთიანებულია როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოყენება. პროგრამა მკაფიოდ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს. სწავლის შედეგებში პირდაპირ არის გათვალისწინებული განათლების ლიდერობის და ადმინისტრირების ამჟამინდელი მოთხოვნები და კურსდამთავრებულების მომზადება საგანმანათლებლო ორგანიზაციებში თანამედროვე გამოწვევებისთვის. აქცენტი კვლევით უნარებზე, კრიტიკულ ანალიზზე და პროფესიულ განვითარებაზე ხელს უწყობს როგორც კარიერულ წინსვლას, ისე აკადემიურ განვითარებას.

თითოეული სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია კონკრეტული, გაზომვადი კომპეტენციებით. სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია, უზრუნველყოფს სტუდენტების და პროგრამის შეფასების კონკრეტულ სამიზნე ნიშნულებს. თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას კვლევასთან დაკავშირებული სწავლის შედეგის ინდივიდუალურად მიღწევის საკითხი, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომის კოლაბორაციულმა ფორმატმა შეიძლება ბოლომდე ვერ უზრუნველყოს კვლევითი კომპეტენციების ინდივიდუალურად გამომუშავება. დაწესებულებამ უნდა გადახედოს სამაგისტრო ნაშრომის კოლაბორაციულ ფორმატს (2 - 3 სტუდენტი ერთ ნაშრომზე), ვინაიდან მე-4 სწავლის შედეგი აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ კვლევით შესაძლებლობებზე. არსებულმა მიდგომამ შეიძლება შეზღუდოს სამაგისტრო ნაშრომის სრულად შეფასება და თითოეული სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად საჭირო კვლევით კომპეტენციებს გამომუშავება. აღნიშნული კოლაბორაციული სტრუქტურა, მიუხედავად იმისა, რომ ხელს უწყობს გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, შეიძლება ვერ უზრუნველყოფდეს სამაგისტრო დონეზე მოსალოდნელი ინდივიდუალური კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარების განვითარებას. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48 - ე მუხლის მე - 5 პუნქტის თანახმად, “მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებს სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით“.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კოლაბორაციული მუშაობისას თითოეული წევრი, როგორც წესი, ორიენტირებულია თავისი ინდივიდუალური ძლიერი მხარეების და ცოდნის შესაბამისი ნაწილის დაწერაზე.

სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების ადმინისტრირების სფეროს თავისებურებებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. თანამედროვე ლიდერობის მიდგომების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების და ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინება ასახავს დარგში არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. პროგრამაში საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილების (ჯორჯ ვაშინგტონის, კასელის და ფრიზებიუსის უნივერსიტეტები) გამოყენება და ექსპერტების შეფასების შედეგების გათვალისწინება აჩვენებს თანამშრომლობით მიდგომას, რომელიც მოიცავს მრავალ დაინტერესებულ მხარეს და პარტნიორი დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკებს. გასაუბრებებისას დადასტურდა, რომ სწავლის შედეგები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

პროგრამას განსაზღვრული აქვს ექვსი ყოვლისმომცველი სწავლის შედეგი, რომლებიც შემუშავებულია ვაშინგტონის შტატის, ჰარვარდის და სტენფორდის უნივერსიტეტების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები ყოვლისმომცველად პასუხობს სადოქტორო პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგებში სათანადოდ არის ასახული სადოქტორო საფეხურის მოლოდინები, აქცენტი კეთდება ორიგინალურ კვლევაზე, დამოუკიდებელ სამეცნიერო საქმიანობაზე და აკადემიურ ლიდერობაზე. თითოეული სწავლის შედეგი მოიცავს განათლების მეცნიერებისთვის აუცილებელ კონკრეტულ კომპეტენციებს: კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარება, კომუნიკაცია და გავრცელება, რესურსების მართვა, ეთიკური სტანდარტები და აკადემიური ლიდერობა. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და გაზომვადია კვლევითი შედეგის, გამოქვეყნებების და ნაჩვენები კომპეტენციების მეშვეობით. თუმცა, კრედიტების მოქნილმა სტრუქტურამ (36 თავისუფალი კრედიტი) შეიძლება ხელი შეუშალოს ყველა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების თანმიმდევრულად მიღწევას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტუდენტებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული საგანმანათლებლო წინარე გამოცდილება. სასწავლო გეგმის რუკის მიხედვით, მე - 6 სწავლის შედეგი, "აჩვენებს სწავლების და აკადემიური ლიდერობისთვის საჭირო კომპეტენციებს უნივერსიტეტის დონეზე და აქტიურად უწყობს ხელს აკადემიურ კეთილსინდისიერებას უნივერსიტეტის გარემოში", რომელიც სტუდენტს უვითარდება "დოქტორანტურის შესავლის" კურსში და ეუფლება სწავლების და კვლევის ასისტენტობის კურსებში. თუმცა, "დოქტორანტურის შესავლის" კურსი არ ავითარებს სწავლების კომპეტენციას, ვინაიდან ძირითადად მიზნად ისახავს დოქტორანტებში კვლევის უნარების, კრიტიკული შეფასების შესაძლებლობების და მეთოდოლოგიური ცოდნის გამომუშავებას, რაც აუცილებელია სადოქტორო პროგრამის დასრულებისთვის, ვიდრე პედაგოგიური კომპეტენციების შეძენისთვის.

სწავლების ასისტენტობა, სადაც სავარაუდოდ მიიღწევა აღნიშნული სწავლის შედეგი, მოიცავს პრაქტიკულ აქტივობებს, მათ შორის სტუდენტების შეფასებას, კურსის მასალების

მომზადებას, სემინარების და ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარებას და ზოგჯერ მთელი კურსების დამოუკიდებლად სწავლებას. აღნიშნული წარმოადგენს სასწავლო გეგმის ხარვეზს, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ სტუდენტები დაეუფლებიან სწავლების კომპეტენციებს პრაქტიკული გამოყენების მეშვეობით, მაშინ როცა არ სწავლობენ პედაგოგიკის, საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის ან სწავლების დიზაინის საფუძვლების თეორიებს. დოქტორანტებს მოეთხოვებათ ჩაატარონ დამოუკიდებელი სწავლება ან გაუწიონ პროფესორს ასისტენტობა კომპექსულ საგანმანათლებლო საქმიანობაში, სწავლების მეთოდოლოგიების წინასწარი თეორიული საფუძვლის ცოდნის გარეშე. აღნიშნული საკითხი აჩენს კითხვებს, როგორც ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მიწოდებული სწავლების ხარისხთან, ასევე თავად დოქტორანტებში კომპეტენციების განვითარებასთან მიმართებით (იხილეთ 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია).

გასაუბრებებისას დადასტურდა, რომ სწავლის შედეგები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყო მასწავლებლის პროფესიის ეროვნული მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკები. კონკრეტულად, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას ძირითადად გათვალისწინებული იყო გერმანული და ბრიტანული უნივერსიტეტების გამოცდილება. კერძოდ, კიოლნის უნივერსიტეტში (გერმანია) მასწავლებლის მომზადება მოიცავს თეორიულ სწავლებას, რომელიც გაერთიანებულია პრაქტიკულ გამოცდილებასთან პროგრამის თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკუმის კომპონენტების სახით. ევროპის თითქმის ყველა პროგრამა მოიცავს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას. აღნიშნული ასპექტი განსაკუთრებით ხაზგასმულია ლუფტჰანზას უნივერსიტეტში.

მსგავსად ჩამოყალიბებულია პროგრამების მე 5 - მე -7 სწავლის შედეგები, განსხვავება გვხვდება მხოლოდ პირველ სწავლის შედეგში, სადაც დაკონკრეტებულია სწავლის საფეხური

- დაწყებითი / საბაზო - საშუალო / დაწყებითი - საბაზო - საშუალო - რაც განისაზღვრება კონკრეტული საგნობრივი მიმართულების მახასიათებლებით და საგნობრივი სტანდარტებით.

საერთოა ყველა საგნობრივი მიმართულებისთვის:

1. შეუძლია სასწავლო პროცესში შეაფასოს პიროვნების, განვითარების და განათლების ძირითადი თეორიების გამოყენების მნიშვნელობა უსაფრთხო, ინკლუზიური, თავისუფალი, მხარდამჭერი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს ხელშეწყობისას, რაც უზრუნველყოფს როგორც მთელი კლასის, ისე თითოეული სტუდენტის, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების ფიზიკურ, სოციალურ - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას.
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპების და სწავლების კონკრეტული საგნობრივი მიმართულების სტანდარტების საფუძველზე, ასევე, სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, უნივერსალური სწავლების დიზაინის, დიფერენცირებული სწავლების და რემედიაციის მიზნობრივი გამოყენების მეშვეობით, შეუძლია შეიმუშავოს სასწავლო გეგმა და კურიკულუმის გარე საგანმანათლებლო აქტივობები, რითაც ხელს შეუწყობს თითოეული სტუდენტის, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების აუცილებელი აკადემიური უნარებით და მაღალი დონის აზროვნების და სოციალურ - ემოციური კომპეტენციებით აღჭურვას.
3. შეუძლია მოიძიოს / შექმნას და გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და აპლიკაციები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტი, სასწავლო გეგმის მიზნების, სტუდენტების საჭიროებების და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
4. შეუძლია შეფასების გამოყენება როგორც სასწავლის შედეგების გასაზომად, ისე მათი გაუმჯობესების გზების განსაზღვრის მიზნით, აჩვენოს შეფასების მეთოდოლოგიების და ინსტრუმენტების შერჩევის / მოდიფიცირების / გამოგონების ფართო ცოდნა და მიზნობრივად გამოიყენოს ისინი პრაქტიკაში როგორც საკუთარი, ისე სტუდენტის მოსწრების შესაფასებლად.
5. შეუძლია გაანალიზოს და შეაფასოს საკუთარი პროფესიული საჭიროებები და შეიმუშავოს შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობები ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციის, დიალოგის და თანამშრომლობის მეშვეობით.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია მასწავლებლებში შემდეგი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე: ეფექტური ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია, ანალიტიკური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარები, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი და პრობლემების გამოვლენის და დამოუკიდებლად და ეფექტურად გადაჭრის შესაძლებლობა.

სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები დამატებით მოიცავდეს: პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომპეტენციას, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი მე-6 დონის პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპონენტით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტებით (მუხლი 12) და მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით (კომპონენტი 7.4). უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამჟამად მოქმედ მასწავლებლის მომზადების პროგრამაში.

მასწავლებლის პროფესიისთვის აუცილებელი ღირებულებები და დამოკიდებულებები, როგორცაა: ბავშვთა უფლებების დაცვა, მდგრადი განვითარების მიზნების დაცვა, ბუნებრივი და სოციალური გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა, დემოკრატიული კულტურული კომპეტენციები და სხვა. გარდა ამისა, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი დონის შედეგები მოიცავს საგანმანათლებლო - ღირებულებით/აღმზრდელობით ასპექტებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ასაკობრივი სპეციფიკის და ჰოლისტური განვითარების, შესაბამისი მიდგომების და თეორიული საფუძვლების გათვალისწინებით, განიხილოს ინდივიდის კოგნიტური, სოციალური, ემოციური, ქცევითი, ადაპტური და მოტორული უნარები.
2. შეისწავლოს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიური, ისტორიული და იურიდიული ასპექტები.
3. ჰოლისტური შეფასების პრინციპის გამოყენებით შეაფასოს სტუდენტის აკადემიური მოსწრება, წინა აკადემიური მიღწევები და აკადემიური უნარები და მიზნობრივად გამოიყენოს განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები და ტაქტიკები, რომლებიც ხელს უწყობენ აკადემიურ განვითარებას.
4. გაკვეთილის დაგეგმვისას გამოიყენოს სწავლების უნივერსალური დიზაინის და დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები.
5. შეუძლია მოიძიოს / შექმნას და გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და აპლიკაციები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტი, სასწავლო გეგმის მიზნების, სტუდენტების საჭიროებების და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
6. ჩაერთოს მიდგომების, პროგრამების და სტრატეგიების განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყობენ სასკოლო გარემოში პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
7. განიხილოს კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობები და მოაწყოს სამუშაო პროცესი პროფესიული საქმიანობის და კომპეტენციის ფარგლებში.

8. შეარჩიოს პროფესიული პრაქტიკის გაძლიერების, გაუმჯობესების და დახვეწის ეფექტური გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- პროგრამის შეფასების ანგარიშები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

რეკომენდაცი(ებ)ი: რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ინდივიდუალური კვლევითი კომპონენტი, რომ თითოეული სტუდენტი ფლობდეს კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარებს, რომლებიც აუცილებელია კვლევის სწავლის შედეგის მისაღწევად.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

რეკომენდაცი(ებ)ი: რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ინდივიდუალური კვლევითი კომპონენტი, რომ თითოეული სტუდენტი ფლობდეს კვლევის მეთოდოლოგიის,

მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო წერის უნარებს, რომლებიც აუცილებელია კვლევის სწავლის შედეგის მისაღწევად.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი: სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების პირველი სწავლის შედეგი, პიროვნების განვითარების და განათლების აუცილებელ თეორიებთან ერთად, მოიცავდეს პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებს, კონკრეტულად ძირითად ცნებებს, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება.

სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს დაემატოს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომპეტენცია, რაც წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიის აუცილებელ ღირებულებას და დამოუკიდებულებას.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი: სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების პირველი სწავლის შედეგი, პიროვნების განვითარების და განათლების აუცილებელ თეორიებთან, ერთად მოიცავდეს პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებს, კონკრეტულად ძირითად ცნებებს, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება.

სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს დაემატოს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის

კომპეტენცია, რაც წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიის აუცილებელ ღირებულებას და დამოკიდებულებას.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი: სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების პირველი სწავლის შედეგი, პროფესიის განვითარების და განათლების აუცილებელ თეორიებთან ერთად, მოიცავდეს პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებს, კონკრეტულად ძირითად ცნებებს, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება.

სასურველია, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს დაემატოს პროფესიული ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომპეტენცია, რაც წარმოადგენს მასწავლებლის პროფესიის აუცილებელ ღირებულებას და დამოკიდებულებას.

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული.

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო	☐	x	☐	☐

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა	☐	x	☐	☐
პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა(ქართუ ლი ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია , სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ფარგლებში შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, გარკვეული პერიოდულობით. პროგრამებში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა გვიჩვენებს კურსის სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან და აჩვენებს, თუ რა დონეზე მუშავდება/მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი (გაცნობა, გაღრმავება, დაუფლება). სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტების მიერ; მექანიზმის გამოყენება და შეფასების განხორციელება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ექვემდებარება მონიტორინგს და ხდება მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სტუდენტების სწავლის შედეგებს მიღწევის მოლოდინს. თითოეული სასწავლო შედეგი გამოხატავს კონკრეტულ უნარს და ცოდნას, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. აღნიშნული ცოდნისა და უნარების შეძენა და განვითარება ხორციელდება კონკრეტული აკადემიური კურსების კომბინაციით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაში სავალდებულო კურსების ამჟამინდელი კომბინაცია სრულად არ უზრუნველყოფს სწავლის ყველა შედეგის მიღწევას (იხილეთ შესაბამისი ნარატივი ქვესტანდარტში 1.2 და რეკომენდაცია 1.4. ქვესტანდარტში). კურიკულუმის რუკა მიუთითებს, რომ არჩევითი კურსები ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, არ არის გარანტირებული, რომ ყველა სტუდენტი მიაღწევს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რადგან სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ სხვადასხვა არჩევითი კურსი მათი შეხედულებიდან (პრეფერენციებიდან) გამომდინარე, მათ შორის 36 ECTS (60 ECTS-დან), თავისუფალი კრედიტი სხვადასხვა სადოქტორო პროგრამებიდან. აქედან გამომდინარე,

რეკომენდებულია კურიკულუმის რუკის გადახედვა და განახლება, რათა პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს ძირითად სასწავლო გეგმას და შედეგები მიღწეული იქნას სწორედ მისი მეშვეობით.

განათლების მეცნიერების პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს აქვს დადგენილი სამიზნე ნიშნული. პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სწავლის შედეგი ფასდება სადოქტორო დისერტაციით მე-10 სემესტრში. ამჟამინდელი სამიზნე ნიშნული, რომელიც ადგენს, რომ „დოქტორანტების უმრავლესობა (ნახევარზე მეტი) სადოქტორო დისერტაციის დაცვისას შეფასდება მინიმუმ წარჩინებით - cum laude“, საჭიროებს მეტ დაზუსტებას, რომ შეესაბამებოდეს სწავლების სადოქტორო საფეხურს და მოიცავდეს ყოვლისმომცველ შეფასების კრიტერიუმებს.

სტანდარტი, რომ დოქტორანტების მინიმუმ 70% -მა დისერტაციის დაცვაზე cum laude (წარჩინებით) ან უფრო მაღალი შეფასება მიიღოს მიუთითებს მაღალ აკადემიურ ხარისხზე. აქედან გამომდინარე, სასურველია განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიმდინარე სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების გადახედვა.

სწავლის შედეგი 3-ის მიმდინარე შეფასება, “ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით, ამყარებს ფართო საზოგადოებასთან ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, მათ შორის, აქვეყნებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციას“; ამ კონტექსტში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება არ ასახავს კომპეტენციის სრულ მასშტაბებს. შეფასება უნდა გაფართოვდეს, რომ მოიცავდეს მრავალ კომპონენტს, რომელიც მრავალმხრივ შეაფასებს როგორც წერილობით, ისე ვერბალური კომუნიკაციის უნარებს სხვადასხვა აუდიტორიასთან. ამიტომ, რეკომენდებულია შეფასების მრავალმხრივი მიდგომების დანერგვა, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისგან კომუნიკაციის უნარის დემონსტრირებას სხვადასხვა ფორმატსა და კონტექსტში, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას სწავლის შედეგების სიღმესთან და მრავალფეროვნებასთან.

შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტი, მათ შორის აკადემიური კურსის დასკვნითი ან შუალედური გამოცდა, პრაქტიკული სამუშაო, აქტივობა, ტესტი და ა.შ. შესაბამისად, მიდგომა საშუალებას იძლევა გაეზომოს და შევაფასოთ, თუ რამდენად წარმატებით შეძლო სტუდენტმა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევა. მონაცემთა შეგროვება ორჯერ განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში). მოცემული მიზნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროგრამის კომიტეტი პროგრამების ხელმძღვანელთან ერთად ვალდებულია გამოიკვლიოს მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები, ხოლო შემდგომ ეტაპზე პროცესებს აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმი არ განსაზღვრავს ნებადართული გადახრის პროცენტს თითოეული სამიზნე ნიშნულიდან - და ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული მიზნობრივი ნიშნულის მიუღწევლობის შემთხვევაში, ამიტომ რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულიდან გადახრის შესაძლო ზღვრების განსაზღვრა და სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში საპასუხო მექანიზმების შემუშავება.

უნივერსიტეტი მიმართავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას არაპირდაპირი მეთოდით, კერძოდ, შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ მიზნობრივ ნიშნებთან. თუმცა, არ არის ნათელი და არც დოკუმენტშია აღწერილი როგორ მუშაობს ეს მექანიზმი.

პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; თუმცა, ზოგიერთ მათგანს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მხარდაჭერა და ჩაუტარდეთ ტრენინგები, რათა განივითარონ უნარები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის კუთხით. უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი;
- o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- o პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- o პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- o პროგრამის სასწავლო შედეგების პირდაპირი შეფასება - სამიზნე საორიენტაციო მაჩვენებლების სახელმძღვანელო;
- o ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის დამსაქმებლებთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები:

- o სასურველია, პროგრამებში განისაზღვროს სამიზნე ნიშნულისგან გადახრის შესაძლო ზღვრები, სამიზნე ნიშნულის მიუღწევლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები. საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს არაპირდაპირი შეფასების მეთოდების მკაფიო და თანმიმდევრული მექანიზმი.
- o სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერის მიზნით ჩატარდეს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვის და ანალიზის უნარების განსავითარებლად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო გეგმის რუკა, რომ ძირითადი სასწავლო გეგმის მეშვეობით უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების სრული შესაბამისობა და მიღწევა. რეკომენდებულია, ყოვლისმომცველი შეფასების და მე - 3 სწავლის შედეგთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგოს მრავალმხრივი შეფასების მიდგომები. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო წერას სხვადასხვა აუდიტორიისთვის, კონფერენციებზე ზეპირ პრეზენტაციებს და საზოგადოების ჩართულობის აქტივობებს.

რჩევები:

სასურველია, სადოქტორო პროგრამის მაღალი მოლოდინების შესაბამისად, გაიზარდოს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ზღვარი იმგვარად, რომ დოქტორანტების მინიმუმ 70% - მა მიიღოს კარგი (cum laude) ან უფრო მაღალი შეფასება. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მაღალი აკადემიური სტანდარტების შენარჩუნებას და სადოქტორო დონის კომპეტენციების უფრო ზუსტ შეფასებას.

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით),	x	☐	☐	☐

ინტეგრირებული
საბაკალავრო- სამაგისტრო

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა	x	☐	☐	☐
პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა	☐	x	☐	☐
პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა(ქართუ ლი ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია , სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში არსებული პროგრამები შემუშავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესებისა და პროცედურების შესაბამისად. რამდენიმე გამონაკლისის გარდა (იხილეთ ქვემოთ), ეს პროგრამები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და სტრუქტურირებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) მიხედვით. კლასტერში შემავალი პროგრამების სტრუქტურა ასახავს კომპონენტების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რომელიც მიზნად ისახავს სწავლის შედეგების ეტაპობრივი მიღწევის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეირჩევა სასწავლო მასალა და სწავლების მეთოდები, რომლის მიზანია სტუდენტების კვალიფიკაციისა და სწავლის დონის შესაბამისი უნარების განვითარება. კონკრეტული პროგრამის კომპონენტების წინაპირობები განისაზღვრება წინა სასწავლო კურსების გათვალისწინებით. ეს მოთხოვნები ხელმისაწვდომია Argus პლატფორმაზე განთავსებულ პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში.

პროგრამების შემუშავების მოსამზადებელი პროცესი აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის წევრები, მოწვეული ლექტორები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, სტაჟირების კოორდინატორი და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ შორის სკოლის დირექტორები და მასწავლებლები).
- აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა პროგრამებისა და მათი კომპონენტების (როგორცაა სასწავლო გეგმები, სასწავლო პროგრამები, კონცეპტუალური ჩარჩოები, სწავლის შედეგების რუკები, მიზნობრივი რუკები და სამიზნე ინდიკატორები) საწყისი ვერსიები, რომლებიც ეფუძნება განახლებულ ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს, დარგის კლასიფიკაციის სისტემას, სექტორის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და განათლების სფეროში არსებულ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას.

- მთელი პროცესის განმავლობაში, სამუშაო ჯგუფი კონსულტაციებს აწარმოებდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უკუკავშირის შესაგროვებლად.
- განახლებულმა პროგრამებმა გაიარა გარე შეფასება დარგის ექსპერტების მიერ.
- დამატებითი მოსაზრებები გათვალისწინებული იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, კოლეგების მიმოხილვების, აკადემიური მოსწრების მონაცემების, საერთაშორისო სტანდარტებისა და სტუდენტების ეფექტურობის შეფასებების მხრიდან.
- საბოლოო პროგრამები განსახილველად წარედგინა ფაკულტეტსა და საგანმანათლებლო საბჭოს.
- ფაკულტეტის განხილვის შემდეგ, პროგრამები დასამტკიცებლად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეგზავნა.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ საბოლოო თანხმობა გასცა.

პროგრამების შესახებ ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.iliauni.edu.ge) და ასევე მოწოდებულია სტუდენტებთან ურთიერთობის ოფისის მეშვეობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

პროგრამის ხანგრძლივობა 8 სემესტრი, 240 ECTS კრედიტი: თავისუფალი კომპონენტი - ზოგადი მოდული - 48 ECTS, ძირითადი პროგრამა - 132 ECTS, დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 ECTS.

თავისუფალი კომპონენტი - ზოგადი მოდული - 48 ECTS:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II: 12 კრედიტი
- აკადემიური ტექნიკები: 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები: 24 კრედიტი
- ადრეული განათლებისა და განვითარების შესავალი: 6 კრედიტი

ძირითადი პროგრამა - 132 ECTS კრედიტი.

- სავალდებულო (ძირითადი) კურსები: 72 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები ძირითად სპეციალობაში - თემატური მიმართულებები: 9 კრედიტი
- არჩევითი კურსები: 9 კრედიტი
- საბავშვო ბაღის პრაქტიკის ბლოკი: 42 კრედიტი

დამატებითი (Minor) პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი – 60 ECTS.

პირველი აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი მოდულის დასრულებას თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში და სავალდებულო კურსებს ძირითადი სასწავლო სფეროდან.

ზოგადი მოდულის ფარგლებში შემავალი კურსები მიმართულია ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებისკენ, როგორიცაა ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები. ზოგადი მოდულის ფარგლებში, პირველივე სემესტრში, სტუდენტები გადიან კურსს „შესავალი ადრეულ განათლებასა და განვითარებაში“, რომლის მიზანია მათთვის ადრეული განათლების ძირითადი პრინციპების გაცნობა.

სავალდებულო სპეციალიზაციის ბლოკის კურსების შინაარსი ფოკუსირებულია ადრეული განათლების სფეროში თანამედროვე და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ცოდნაზე, უნარებსა და ღირებულებებზე, რაც საფუძველს ქმნის ეფექტური ურთიერთქმედებისა და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის.

სავალდებულო-არჩევითი სპეციალიზაციის კურსის ბლოკის შინაარსი ორიენტირებულია თემატური მიმართულებების (ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება) შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. კურსები დაყოფილია თემატურ ჯგუფებად, რომელთაგან თითოეული სამ კურსს მოიცავს. მოსწავლეებს მოეთხოვებათ ერთი თემატური კლასტერი მთლიანად შეავსონ.

უნივერსიტეტის შიდა ციფრული ხარისხის მართვის პლატფორმა (Argus) მხარს უჭერს აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ეფექტურ კოორდინაციას. ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურები და ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფენ ამ კოორდინაციას და ხელს უწყობენ ოპერაციულ ეფექტურობას. ფაკულტეტის წევრებს აქვთ გამოცდილება საუნივერსიტეტო სწავლებისა და მეცნიერული კვლევების მხრივ, ასევე, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო აკადემიურ ინიციატივებში. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული მიღწევები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. დაწესებულებას გააჩნია პერსონალის დაქირავების, შეფასების და განვითარების ფორმალური მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის კომპეტენციებსა და პროგრამების საჭიროებებს შორის მუდმივ შესაბამისობას.

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია მკაფიოდაა განსაზღვრული და ხელმძღვანელებს აქვთ კურიკულუმის შემუშავებისა და საერთაშორისო პროექტების მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება. ბევრ მათგანს გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში. . ადგილზე ვიზიტის დროს, პროგრამის ლიდერთა გუნდმა წარმოადგინა პროგრამის კარგად სტრუქტურირებული ხედვა, რაც ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე და ცვალებად აკადემიურ და ინდუსტრიულ საჭიროებებზე რეაგირებაზე.

პერსონალი ქმნის კარგ აკადემიურ გარემოს. სტრუქტურირებული დატვირთვის პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის ლიმიტების არსებობა დადებითად უწყობს ხელს სწავლებისა და მენტორობის მდგრადობასა და ხარისხს. პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო კვლევით და განვითარების პროექტებში ღირებულებას მატებს სასწავლო გარემოს და აძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. ხელმძღვანელობის როლები მკაფიოდ არის განაწილებული და აჩვენებს ბალანსს სტრატეგიულ ხელმძღვანელობასა და ოპერატიული ჩართულობას შორის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

პროგრამის თანაფარდობა შესაბამისია და ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობას. პერსონალის დენადობა დაფიქსირდა 0%, რაც მიუთითებს სტაბილურ პედაგოგიურ შემადგენლობაზე. ორივე ჯგუფის აკადემიური და პრაქტიკული კვალიფიკაცია ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ადრეულ ბავშვობაში

განათლების თანამედროვე ტენდენციებისა და პრაქტიკის გაცნობას. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფისა და კვლევით ინიციატივებში, რითაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსის აქტუალობას, შესაბამისობას და თანმიმდევრულ განხორციელებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო

პროგრამას ჰყავს პერსონალის დიდი გუნდი, მრავალმხრივი გამოცდილებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას და აქტუალობას. პროგრამა სრულ შესაბამისობაშია. პერსონალის თანაფარდობა დაბალანსებულია, პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი მაღალია და მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ განახორციელონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი მოდულები პროგრამას მეტად მრავალფეროვანს ხდის და მოითხოვს პერსონალის ფართო გამოცდილებას. პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ლიდერობს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების დისციპლინის განვითარებაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

პროგრამის პერსონალი შენარჩუნდა წლების განმავლობაში და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა განსაკუთრებით მაღალია სამაგისტრო პროგრამისთვის. პერსონალის აკადემიური და პროფესიული გამოცდილება იძლევა საშუალებას, რომ მათ ჰქონდეთ განათლების სფეროში მიმდინარე კვლევების შესახებ ინფორმაცია. პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების დისციპლინის განვითარებაში. ის აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაში.

პროგრამა შეესაბამება სტანდარტებს. პროგრამას ჰყავს ძლიერი აკადემიური პერსონალი, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევასა და სწავლებაში. აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და ხარისხს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

ამ პროგრამაში ჩართულია ათი სრულად აფილირებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალის გარეშე. აკადემიური ხელმძღვანელების რაოდენობა დოქტორანტების

რაოდენობის პროპორციულია და პერსონალს აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილება, რაც აუცილებელია კვლევისა და მეცნიერული მიზნებისთვის. პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების დისციპლინის განვითარებაში. ის აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებასა და აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაში.

პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს. აფილირებული პერსონალი ჩართულია სადოქტორო სწავლებასა და დოქტორანტების ხელმძღვანელობაში, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება კი უზრუნველყოფს კვლევის ინტერნაციონალიზაციას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას როგორც პედაგოგიკის მიმართულებით, ასევე, საგნობრივი ცოდნით. პროგრამა შესაბამისობაშია პერსონალის დაკომპლექტების სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამაზე მეტია მოწვეული პერსონალი, მაგრამ დენადობა შედარებით დაბალია და პროგრამის მასშტაბიც მცირეა. რეკომენდებულია, მოწვეული პერსონალის დენადობის მუდმივი მონიტორინგი. პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების დისციპლინის განვითარებაში. ის აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებასა და აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

პროგრამის პერსონალი მრავალფეროვანია და ფარავს მრავალ სფეროს. პერსონალი ჩართულია ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავებასა და სხვა გლობალურ პროცესებში. პროგრამა შესაბამისობაშია პერსონალის დაკომპლექტების სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების დისციპლინის განვითარებაში. ის აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებასა და აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

პერსონალის რაოდენობა საკმარისია სასწავლო გეგმის განსახორციელებლად ენების სწავლების მიმართულებით, ხელოვნებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში. აკადემიურ პერსონალს აქვს როგორც საერთაშორისო, ასევე, პრაქტიკული სწავლების გამოცდილება. პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განათლების დისციპლინის განვითარებაში.

პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტებს, თუმცა აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შედარებით დაბალია. მიუხედავად ამისა, დისციპლინების ფართო სპექტრი და სტუდენტების მრავალმხრივი სასწავლო არჩევანი განაპირობებს პრაქტიკული კომპეტენციების მქონე პერსონალის მოწვევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

საგანმანათლებლო პროგრამები სრულად შეესაბამება სტანდარტის კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია პერსონალის კვალიფიკაციასთან, სამუშაო დატვირთვასა და პროგრამის ხელმძღვანელობასთან. თვითშეფასების ანგარიშიდან, დამხმარე დოკუმენტაციიდან და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული მტკიცებულებები აჩვენებს:

- მკაფიოდ განსაზღვრულ პოლიტიკას აკადემიური დატვირთვებისა და სახელმძღვანელო პასუხისმგებლობების თაობაზე;
- პედაგოგთა ძლიერ აკადემიურ და პროფესიულ პროფილს, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რეკრუტირების, შეფასების და განვითარების ძლიერ მექანიზმებს;
- პროგრამის ეფექტურ და ინოვაციურ ხელმძღვანელობას განათლების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სამეცნიერო პუბლიკაციების შესაბამისი გამოცდილებით;
- ადექვატურ ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

პროგრამას უძღვება მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილებით, რომელიც ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

განათლების დისციპლინის განვითარებაში. ის აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმის შემუშავებასა და აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფაში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მდგრადი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მექანიზმები, რომ აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი იყოს კვალიფიციური, დატვირთვა სათანადოდ განაწილებული და აქტიურად ჩართული კლასტერის პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევაში.

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[1]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[2]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	3	3	2	3
- პროფესორი				
- ასოცირებული პროფესორი	2	2	1	1
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	8
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	12	12		–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, სამეცნიერო პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალი	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის	მათ შორის, აფილირებული

შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი	ს რაოდენობა	პერსონალის ჩათვლით ^[3]	ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[4]	აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	15			15
- პროფესორი	5	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10	10
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	33	33	5	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[5]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[6]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	13	13	13
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	12	12	12	12
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	7	7	2	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[7]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[8]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	10	10
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	8
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	0			–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[9]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[10]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	6	6	6	6
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1

- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	10	10	3	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა(ქართუ ლი ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია , სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[11]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[12]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	11	11	11
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	14	14	5	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[13]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
--	---	---	---	---

მოწვეული პერსონალი)			პერსონალის ჩათვლით ^[14]	
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	10	10
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	17	17	4	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[15]	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით ^[16]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	2	2	2	2
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი				
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	14	14		–
სამეცნიერო პერსონალი				–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური დატვირთვის სქემა;
- CV და პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის წესები;
- პერსონალის შეფასების პროცედურები;
- პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობის მონაცემები პროგრამების მიხედვით;
- სილაბუსები და საკონსულტაციო მოვალეობები;
- თვითშეფასების ანგარიშები და ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები;
- ორგანიზაციული სტრუქტურა და ადმინისტრაციული სამუშაოს აღწერილობები;
- Argus პლატფორმის დოკუმენტაცია;
- საპროექტო და კვლევით ცენტრთან აფილირება;
- გასაუბრებები პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ზუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

.....

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის	x	☐	☐	☐

არჩევითი მოდულით),
ინტეგრირებული
საბაკალავრო- სამაგისტრო

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა	x	☐	☐	☐
პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა(ქართუ ლი ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია , სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐
პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო	x	☐	☐	☐

პროგრამა 8 - სპეციალური
მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო
პროგრამა, სასერტიფიკატო

x

□

□

□

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პირადი საქმეები (CV და რეზიუმეები) და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სია ადასტურებს, რომ სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო გამოცდილება კვლევის მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომის თემა შეირჩევა მაგისტრანტსა და მის ხელმძღვანელს შორის ურთიერთშეთანხმების შედეგად. პერსონალი მაქსიმალურად უთავსებს სტუდენტებს მათ გრაფიკს, ხოლო სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დაუკავშირდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს. ნაშრომებს ამოწმებს სპეციალური პროგრამა Turnitin-ი. სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით. საჭიროების შემთხვევაში, ნაშრომის ხელმძღვანელი სტუდენტებს ასევე აწვდის შესაბამის მასალას.

პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებებიდან აშკარაა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული და დანერგული აქვს გამჭვირვალე, სწავლების დონის შესაბამისი და პროგრამასთან თავსებადი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს ნაშრომის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელების დანიშვნასა და ზედამხედველობას. სამაგისტრო დონეზე ხელმძღვანელობა შეიძლება განახორციელოს აკადემიურმა ან მოწვეულმა პერსონალმა, მკვლევარებმა შესაბამისი პუბლიკაციებით ან დოქტორანტებმა აქტიური კვლევითი მიღწევებით. დოქტორანტურის დონეზე ხელმძღვანელობა შემოიფარგლება უნივერსიტეტის პროფესორებით ან შესაბამისი მეცნიერებით, რომლებსაც აქვთ დოქტორის ხარისხი და დისერტაციის თემასთან დაკავშირებული უახლესი რეცენზირებული პუბლიკაციები. ეს კრიტერიუმები ფორმალიზებულია ძირითად ინსტიტუციურ დოკუმენტებში, როგორიცაა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციები, სადისერტაციო საბჭოს დებულება და ფაკულტეტის

დონის დოქტორანტურის სახელმძღვანელო პრინციპები. ხელმძღვანელის შერჩევის პროცესს ხელს უწყობს ხელმისაწვდომი პლატფორმები, როგორიცაა უნივერსიტეტის ვებსაიტი და „არგუსის“ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დეტალურ აკადემიურ პროფილებსა და კვლევის შედეგებს. ხელმძღვანელის ყველა დანიშვნა ექვემდებარება ოფიციალურ დოკუმენტაციას და შემოწმებას პირადი საქმეების, გამოქვეყნების ისტორიისა და აკადემიური კონტრაქტების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას და ხარისხს. ინსტიტუციური ზედამხედველობა ძლიერია. სადისერტაციო საბჭოები და ფაკულტეტის მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ სტანდარტების შესაბამისად ახორციელებენ საქმიანობას. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს თავის აკადემიურ პერსონალს კვლევის კოორდინაციის ოფისებისა და დაფინანსების შესაძლებლობების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს მიმდინარე ჩართულობას კვლევებში.

დასასრულს, პროგრამები შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, რაც დასტურდება ხელმძღვანელებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრით, გამჭვირვალე სისტემების დანერგვით და აქტიური ხელმძღვანელობის ვალდებულებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობა განაპირობებს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობას პროფესიონალების მიერ, რომლებსაც აქვთ ძლიერი აკადემიური და კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელები შერჩევა ხდება გამჭვირვალედ და დოკუმენტირებული ფორმალური მექანიზმებით, ხოლო პოტენციური ხელმძღვანელების მათ პროფილებზე წვდომა უზრუნველყოფილია ისეთი პლატფორმების საშუალებით, როგორიცაა ARGUS, რაც ხელს უწყობს სტუდენტს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. ზედამხედველობა ხორციელდება პროგრამის დებულებისა და სადოქტორო საბჭოების მეშვეობით.

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ³	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	18	18	15
- პროფესორი	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10
- ასისტენტ-პროფესორი			

³ ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

მოწვეული პერსონალი	3	3	–
სამეცნიერო პერსონალი			–

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁴	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	14	13	13
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	12	12	12
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	1	1	–
სამეცნიერო პერსონალი			–

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	10	10	10
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციები;
- დოქტორანტურის დებულება;
- სადისერტაციო საბჭოს დებულება;

⁴ ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

⁵ ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

- Argus პლატფორმის დოკუმენტაცია;
- აკადემიური პერსონალის CV და გამოქვეყნების ისტორია;
- პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიული განვითარების საბიუჯეტო დოკუმენტები;
- გასაუბრებები პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: - არ არის მითითებული.

კლასტერის საერთო რჩევები: - არ არის მითითებული.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

.....

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის	x	□	□	□

განათლება
(საზოგადოებრივი და
სპეციალური მასწავლებლის
არჩევითი მოდულით),
ინტეგრირებული
საბაკალავრო-სამაგისტრო

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა	X	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, იგი ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალის პროფესიული განვითარების მხრივ, უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი პოლიტიკა, სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ განვითარებას და შეფასების ეფექტური მექანიზმები, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მიდგომას უწყვეტი განათლებისადმი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა ძლიერი და მრავალფენიანია. ცენტრალური ერთეულები, როგორიცაა სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური და განვითარების სამსახური, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გრანტის მოპოვებაში, წინადადებების შემუშავებასა და საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებით. შედეგად, ბოლო თორმეტ წელიწადში, უსდ-მ 260-ზე მეტი კვლევითი გრანტი მიიღოს საერთაშორისო პროგრამების მეშვეობით, მათ შორის Horizon Europe, Erasmus+, USAID, GIZ და ეროვნული ფონდებით. 2022 წელს Horizon Europe Space დაარსება ხაზს უსვამს უსდ-ს ჩართულობას ევროპის კვლევებში.

ამ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს თავის მხრივ ეხმარებიან სპეციალიზებული კვლევითი ცენტრები, მათ შორის სამეცნიერო განათლების კვლევის ცენტრი (SALiS) და ახლად

დაარსებული საგანმანათლებლო კვლევის ცენტრი (2024). ეს კვლევითი ჰაბები ახორციელებენ მაღალი გავლენის მქონე პროექტებს, როგორიცაა ROSES Project (რუსთაველის ფონდი), HORIZON METEOR და CoARA ინიციატივა - თითოეული ავითარებს მეცნიერულ კვლევას და ნერგავს კვლევას სასწავლო პროგრამებში. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროექტები უზრუნველყოფენ კვლევით პროცესში მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართულობას, აძლიერებენ კვლევისა და სწავლების ინტეგრაციას.

უნივერსიტეტი ახორციელებს პერსონალის სისტემურ შეფასებას, რომლის ადმინისტრირებას ახდენს სასწავლო პროცესის განვითარებისა და შეფასების ოფისი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აკადემიური და მოწვეული პერსონალი წარადგენს ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშებს, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი მათი სამეცნიერო მიღწევები, მათ შორის ინდექსირებული პუბლიკაციები, სარედაქციო როლები, კონფერენციებში მონაწილეობა და საერთაშორისო პარტნიორობა. შეფასების შედეგები პირდაპირ განსაზღვრავს მათ შემდგომ განვითარებას, დაწინაურებას, დაფინანსებას, რაც ქმნის აკადემიურ გარემოს, სადაც პერსონალის მიღწევები ფასდება.

პედაგოგიურ განვითარებას მართავს პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC), რომელიც სთავაზობს პერსონალს რეგულარულ, სემესტრულ ტრენინგს აქტიური სწავლის სტრატეგიების შემუშავების, სტუდენტზე ორიენტირებულ შეფასების, ონლაინ განათლებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების მიმართულებით. PPDC ასევე ორგანიზებას უკეთებს პერსონალის სასწავლო ჯგუფებს, ვებინარებს და სასწავლო დიზაინის სემინარებს, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო გლობალურ პრაქტიკებს. ეს აქტივობები უზრუნველყოფს უსდ-ში რეფლექსიური პრაქტიკის კულტურის დანერგვას და სწავლების უწყვეტ გაუმჯობესებას. ეს დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების დროს.

უსდ მხარს უჭერს პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო აკადემიურ დისკუსიებში მათთვის მიზნობრივი დაფინანსების შეთავაზებით და მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების მხარდაჭერით. პერსონალის აკადემიური მიღწევების აღიარების მიზნით, უსდ-ში არსებობს პასკალის პრიზი და შიდა განვითარების გრანტები, რაც მეტ სტიმულს აძლევს პერსონალს აქტიურად ჩაერთონ კვლევასა და სწავლებაში. ილიაუნს აქვს ხილვადობის ინსტრუმენტებიც, როგორიცაა ილიაუნის კვლევითი პორტალი, რაც ხელს უწყობს პერსონალის აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და აკადემიურ თანამშრომლობას, რაც თავისმხრივ დაწესებულების სტრატეგიული მიზანია.

უნივერსიტეტი პროგრამებისა და ზოგადი განვითარების მიზნით, ასევე უკუკავშირის მიღებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, ატარებს პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვებს, სტუდენტების შეფასებებს და ფოკუს ჯგუფებში დისკუსიებს. ეს მექანიზმები ფუნქციონირებს, თუმცა მნიშვნელოვანია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, როგორც აუმაჯობესებს ეს უკუკავშირი სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. გასაუბრებების დროს პერსონალმა

დაადასტურა, რომ ისინი თავს გრძნობენ როგორც აკადემიური სივრცის მნიშვნელოვანი წევრები, რომელთა პროფესიულ განვითარებასაც უნივერსიტეტი მხარს უჭერს.. ადგილზე ვიზიტის დროს აკადემიურმა პერსონალმა ასევე დაადასტურა, რომ აკადემიური განვითარების მიმართულებით ისინი იღებენ მხარდაჭერას უნივერსიტეტისგან. უსდ-ში არსებობს სტუდენტების მიერ კურსების შეფასების მექანიზმი. აკადემიური პერსონალი უკუკავშირს მათი აკადემიური მუშაობის შესახებ იღებს სტუდენტების გამოკითხვების საშუალებით, ასევე, ფოკუს ჯგუფებში გამართული დისკუსიების შედეგაც, სადაც ნათლად იკვეთება გასაუმჯობესებელი მხარეები. პერიოდულად ტარდება პერსონალის კმაყოფილების შეფასება უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან მიმართებით. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, უსდ გეგმავს შემდგომ პროფესიულ განვითარებას შედეგად გამოვლენილი საჭიროებები ემსახურება საფუძვლად პროფესიული განვითარების საქმიანობის დაგეგმვას. პერსონალმა დაადასტურა, რომ პერსონალი იღებს მხარდაჭერას კონფერენციებში მონაწილეობის და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების მხრივ.

მიუხედავად ამისა, ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია კურსისა და პერსონალის შეფასების შედეგების საფუძველზე უსდ-ში განხორციელდეს სწავლების გაუმჯობესება და პროფესიული განვითარების მხრივ, ინიციატივების შემუშავება.

უნივერსიტეტი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის, სთავაზობს დინამიურ და სტრუქტურირებულ გარემოს. ისეთი სერვისების მეშვეობით, როგორიცაა სამეცნიერო კვლევის კოორდინაციის სამსახური, პერსონალური და პროფესიული განვითარების ცენტრი და საერთაშორისო საგრანტო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა, დაწესებულება უზრუნველყოფს ტრენინგს, შეფასებას, შიდა გრანტებს და აკადემიური მიღწევების აღიარების პროგრამებს (მაგ., პასკალის პრიზი). პერსონალის მუშაობის შეფასება ინსტიტუციური პოლიტიკის ნაწილია, რომლის საფუძველზე მუშავდება განვითარების სტრატეგიები. უნივერსიტეტს ჩამოაყალიბებული აქვს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო ოფისს აქვს ცენტრალური როლი ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში სამეცნიერო ინიციატივების ხელშეწყობისა და კოორდინაციის მხრივ, აქტიურად ეხმარება პერსონალს კვლევითი პროექტების მოპოვებასა და განხორციელებაში. პარალელურად, განვითარების ოფისი ეხმარება პერსონალს მოიძიოს დაფინანსების შესაძლებლობა, რაც აძლიერებს უნივერსიტეტის კვლევით შესაძლებლობებს და გარე ჩართულობას.

მთლიანობაში, ვინაიდან უსდ-ში პროფესიული განვითარების ინფრასტრუქტურა არსებობს და აქტიურად ფუნქციონირებს, უფრო თანმიმდევრული უკუკავშირი შეფასების შედეგებსა და განვითარების ინიციატივებს შორის უზრუნველყოფდა ხარისხის სტანდარტებთან უფრო

მეტ შესაბამისობას და აკადემიური მოსწრებისა და კვლევის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ფუნქციური და კარგი რესურსებით აღჭურვილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მისი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მუდმივ პროფესიულ და კვლევით განვითარებას. შიდა მხარდაჭერის სერვისების, გარე პარტნიორობის, ტრენინგების, აკადემიური მიღწევების შეფასებისა და აღიარების სქემების არსებობა კარგი პრაქტიკაა ადამიანური რესურსები განვითარებისა და ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები;
- ხელშეკრულებები სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან;
- Argus სისტემის დოკუმენტაცია;
- პერსონალისა და პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგების ისტორია;
- აკადემიური პერსონალის შეფასების ჩარჩოები;
- საგრანტო და საპროექტო დოკუმენტაცია (Horizon Europe, Erasmus+, რუსთაველის ფონდი);
- კვლევითი ცენტრის ანგარიშები (მაგ. SALiS, საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრი);
- უნივერსიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტები პერსონალის განვითარებისათვის;
- პერსონალის კმაყოფილებისა და სტუდენტების მიერ კურსის შეფასების რეზიუმეები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 7 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

პროგრამა 8 - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სასერტიფიკატო

რეკომენდაციები: არ არის მითითებული.

რჩევები: არ არის მითითებული.

.....

შეფასება

კომპონენტი 4.3.
აკადემიური, სამეცნიერო

შესაბამისობაშია
მოთხოვნებთან

მეტწილად
შესაბამისობაშია
მოთხოვნებთან

ნაწილობრივ
შესაბამისობაშია
მოთხოვნებთან

არ არის
შესაბამისობაში
მოთხოვნებთან

და მოწვეული პერსონალის
პროფესიული განვითარება
პროგრამა 1 - ადრეული
ბავშვობა, განვითარება და
განათლება, ბაკალავრიატი

x

☐

☐

☐

პროგრამა 2 - დაწყებითი
საფეხურის მასწავლებლის
განათლება
(საზოგადოებრივი და
სპეციალური მასწავლებლის
არჩევითი მოდულით),
ინტეგრირებული
საბაკალავრო- სამაგისტრო

x

☐

☐

☐

პროგრამა 3 - განათლების
ადმინისტრირება,
მაგისტრატურა

x

☐

☐

☐

პროგრამა 4 - განათლების
მეცნიერება,
დოქტორანტურა

x

☐

☐

☐

პროგრამა 5 - დაწყებითი
საფეხურის მასწავლებლის
მომზადების
საგანმანათლებლო
პროგრამა (ქართული ენა
და ლიტერატურა,
მათემატიკა,
ბუნებისმეტყველება - I-IV
კლასები), სასერტიფიკატო

x

☐

☐

☐

პროგრამა 6 - საბაზო და
საშუალო საფეხურის
მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო
პროგრამა(ქართუ ლი ენა და
ლიტერატურა, მათემატიკა,
ისტორია, გეოგრაფია ,
სამოქალაქო განათლება,
ბიოლოგია, ფიზიკა),
სასერტიფიკატო

x

☐

☐

☐

პროგრამა 7 - დაწყებითი,
საბაზო და საშუალო
საფეხურის მასწავლებლის

x

☐

☐

☐

მომზადების
საგანმანათლებლო
პროგრამა (ინგლისური ენა,
გერმანული ენა, რუსული
ენა, ქართული, როგორც
მეორე ენა, სახვითი და
გამოყენებითი ხელოვნება,
მუსიკა, კომპიუტერული
ტექნოლოგიები),
სასერტიფიკატო

პროგრამა 8 - სპეციალური
მასწავლებლის მომზადების
საგანმანათლებლო
პროგრამა, სასერტიფიკატო

x

□

□

□

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, აღჭურვილობასა და ტექნიკურ რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები - მათ შორის ზოგადი ინფრასტრუქტურა, ციფრული პლატფორმები, ბიბლიოთეკები, სპეციალიზებული ცენტრები ფუნქციონირებს, აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და მათი არსებობა შეესაბამება ინსტიტუციურ მიზნებსა და აკადემიური პროგრამების მოთხოვნებს.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცეები და ციფრული მართვის ინსტრუმენტები, განსაკუთრებით ARGUS-ის აკადემიური სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსზე რეგისტრაციას, კრედიტების მონიტორინგს, კლასების მართვას და აკადემიურ კომუნიკაციას.

უნივერსიტეტის ცენტრალური აკადემიური რესურსი - ილიაუნის ბიბლიოთეკა - უზრუნველყოფს წვდომას სამეცნიერო ლიტერატურაზე, მათ შორის ფიზიკურ კოლექციებზე, რომლებიც შეესაბამება სასწავლო გეგმებს და ელექტრონულ წვდომას ძირითად საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე, როგორცაა Scopus, ScienceDirect, JSTOR, Clarivate, ProQuest, EBSCO და Taylor and Francis. სტუდენტებს და ფაკულტეტის წევრებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ თანამედროვე საძიებო სისტემები, ასევე, ბიბლიოთეკარის მიერ

ტარდება ტრენინგ სესიები, მათ აქვს სკანერისა და ბეჭდის შესაძლებლობა, ტარდება ვორქშოფები სამეცნიერო ბაზებში ინფორმაციის მოძიებაზე და ასევე, ხდება ფაკულტეტის საჭიროების გათვალისწინება. ეს შეთავაზებები ხელს უწყობს სტუდენტის კვლევითი კომპეტენციების განვითარებას და აკადემიურ წიგნიერებას.

ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგები. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია პროგრამების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ან/და შესაბამისი რიდერები. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე.

ბიბლიოთეკარმა მოახდინა საჭირო სასწავლო მასალების მოძიების დემონსტრირება. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა რამდენიმე ავტორისა და სახელმძღვანელოს მოძებნა, ბიბლიოთეკარებმა მოახდინეს მათი იდენტიფიცირება და წარმოდგენა. ბიბლიოთეკა ასევე სთავაზობს დაინტერესებულ პირებს სასწავლო კურსებს ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოყენების თაობაზე. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას აქვს მუდმივი კომუნიკაცია აკადემიურ პერსონალთან და ყოველი სემესტრის დასაწყისში იწვევს მათ ახალი შეძენების მოსათხოვნად. მოწოდებული დოკუმენტები და ადგილზე ვიზიტის შედეგები მიუთითებს, რომ სტუდენტები იღებენ მორგებულ ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების, ბიბლიოთეკის რეგულაციებისა და გამოყენების შესახებ.

ადგილზე ვიზიტისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უსდ-ში ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, პერსონალის ოთახები, კომპიუტერული რესურსცენტრები, ადმინისტრაციული სივრცეები, სივრცეები ჯგუფური მუშაობისათვის და სხვა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მდგრადობას.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მოიცავს მულტიმედია პროექტორებს, კომპიუტერებს, აუდიო-ვიდეო აღჭურვილობას და ა.შ. არსებობს თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია და აკადემიური პროგრამის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა აჩვენებს მატერიალურ რესურსებთან მკაფიო და უშუალო შესაბამისობას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გარემოსა და ხელსაწყოებს, რომლებიც მხარს უჭერენ დისციპლინის სპეციფიკური და პროფესიული კომპეტენციების მიღწევაში.

უნივერსიტეტის ვებგვერდი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობას. ისინი ინფორმირებულნი არიან რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მათი გამოყენების წესების შესახებ.

როგორც თვიშეფასების ანგარიში, ისე სტუდენტები აღნიშნავენ, რომ შენობაში, სადაც ხორციელდება პროგრამები, არსებობს სივრცეები ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის და დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად. ასევე ხელმისაწვდომია ადგილები სტუდენტების/პერსონალის კონსულტაციებისთვის. ბიბლიოთეკა არის კარგად აღჭურვილი და დაფინანსებული.

ყველა პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალური რესურსი თავის კამპუსებში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სისტემა, ელექტრონული მონაცემთა ბაზები, კვლევითი ლაბორატორიები (SALiS, IERC) და სპეციალიზებული ცენტრები (მაგ., ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი) აკმაყოფილებენ პროგრამების საჭიროებებს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტები (ARGUS, eLearning, Turnitin), კვლევითი სივრცეები და პარტნიორი დაწესებულებები (მაგ. საბავშვო ბაღები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები) უზრუნველყოფენ იმას, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა აუცილებელ ინსტრუმენტებსა და გარემოზე.

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები არ საჭიროებენ სპეციალიზებულ აღჭურვილობას: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს. დამატებით, ბიბლიოთეკაში ვიზიტისასა გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს სივრცეები სწავლისა და კვლევისთვის, ასევე, მკვლევარი სტუდენტებისთვისაც. გასაუბრების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ეხმარებიან სწავლის პროცესში, ყველა საჭირო მასალის მოძიებაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოირჩევა სპეციალიზებული კვლევითი და სასწავლო ცენტრების ქსელით, მათ შორისაა სამეცნიერო განათლების კვლევის ცენტრი (SALiS), ინოვაციური განათლების კვლევის ცენტრი (IERC) და ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი. ეს ცენტრები წარმოადგენენ ჰაბებს სწავლებისა და კვლევისთვის, ლაბორატორიების, ემპირიული სასწავლო სივრცეებისა და ერთობლივი პროექტების შეთავაზებით. SALiS მხარს უჭერს საბუნებისმეტყველო განათლებას და მასწავლებელთა მომზადებას პრაქტიკული ლაბორატორიული გამოცდილებით. IERC ყურადღებას ამახვილებს დიდაქტიკურ ინოვაციებსა და ციფრულ-სამეწარმეო უნარებზე, ხოლო ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი უზრუნველყოფს ადრეული ბავშვობის განათლებისა და ინკლუზიური სწავლის პრაქტიკულ გამოყენებას. ეს ცენტრები აძლიერებენ სტუდენტების სწავლას თეორიის პრაქტიკასთან შეერთებით და მჭიდროდ არიან ინტეგრირებული პროგრამის სტრუქტურებში.

მაგალითად:

საბაკალავრო პროგრამა "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება" მოიცავს 50 კრედიტიან სტაჟირებას საბავშვო ბაღებში და დიაგნოსტიკურ ვორქშოფებს ბავშვთა განვითარების ინსტიტუტში.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა იყენებს SALiS ლაბორატორიებს და ზოგადი განათლების სკოლების პარტნიორობას STEM განათლებისათვის.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მოიცავს საველე სტაჟირებას, NVivo-ს გამოყენებას თვისებრივი კვლევისათვის და ინსტიტუციურ მონაცემებზე წვდომას IERC-ის მეშვეობით.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები აერთიანებს სასკოლო პრაქტიკის მოდულებს და სარგებლობს ისეთი პლატფორმებით, როგორიცაა გოეთეს ინსტიტუტის Moodle ენის სწავლებისათვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის გარე პარტნიორობის ფართო ქსელი - როგორც ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე საერთაშორისო აკადემიურ ორგანოებთან - აფართოებს უნივერსიტეტის რესურსების ბაზას, სთავაზობს სტუდენტებს ავთენტურ სფეროში გამოცდილებას და წვდომას გლობალურად აღიარებულ სასწავლო ტექნოლოგიებზე. ეს პარტნიორობა უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტები ეფლობიან პროფესიას რეალურ სამყაროში და აქვთ ძლიერი აკადემიური მხარდაჭერა.

კლასტერის პროგრამები - „ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება“ და მასწავლებელთა მომზადების პროგრამები გვიჩვენებს პრაქტიკული და კვლევაზე დაფუძნებული რესურსების ძლიერ და კარგად ინტეგრირებულ სისტემას. ეს რესურსები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების მიერ თეორიული ცოდნის, პრაქტიკული კომპეტენციებისა და კვლევის წიგნიერების შეძენას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

2024 წელს საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის დაარსებამ გააძლიერა კვლევის კულტურა ყველა პროგრამაში. ეს ცენტრი ხელს უწყობს განათლების სისტემაში არსებული გამოწვევების ინტერდისციპლინურ კვლევას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და მხარს უჭერს როგორც მკვლევარების, ისე პრაქტიკოსების პროფესიულ განვითარებას.

პარალელურად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ბავშვთა განვითარების ინსტიტუტი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადრეული განათლებისა და მასწავლებელთა მომზადების პროგრამების მხარდაჭერის მხრივ. ინსტიტუტი სთავაზობს უნიკალურ მულტიდისციპლინურ გარემოს, რომელიც აერთიანებს განათლებას, კვლევას, თერაპიას და პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სპეციალიზებული ცენტრი, მათ შორის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრი, აუტიზმის ცენტრი

და ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ცენტრი, რომლებიც სთავაზობენ მდიდარ შესაძლებლობებს სტუდენტური პრაქტიკისათვის, სემინარებისა და ერთობლივი კვლევისათვის.

შემდგომი მხარდაჭერა უზრუნველყოფილია SALiS საბუნებისმეტყველო მეცნიერების განათლების კვლევითი ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს წვდომით ლაბორატორიულ სამეცნიერო სწავლებაზე და ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრი, რომელიც იძლევა დიდაქტიკური კვლევის საშუალებას და ხელს უწყობს 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო ინოვაციებს ტექნოლოგიების ინტეგრაციის გზით.

კლასტერში, სტუდენტები ეწევიან კარგად სტრუქტურირებულ სასკოლო პრაქტიკას, რომელსაც ემატება სპეციალიზებული ლაბორატორიები და კვლევითი ცენტრები. თანამშრომლობა საბავშვო ბაღებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და ისეთ დაწესებულებებთან, როგორიცაა გოეთეს ინსტიტუტი, კიდევ უფრო აძლიერებს გამოყენებით სასწავლო გარემოს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება, ბაკალავრიატი

მხარდაჭერის რესურსები: ხელმისაწვდომობა განვითარების სერვისებზე, ლიტერატურაზე, ვორქშოფებსა და პროფესიულ სემინარებზე.

პროგრამა სთავაზობს ვრცელ პრაქტიკულ ტრენინგს და ცალსახად არის მხარდაჭერილი ბავშვზე ორიენტირებული ინსტიტუტის მიერ, რაც აძლიერებს ექსპერიმენტულ სწავლებას და პროფესიულ მომზადებას ადრეული ასაკის ბავშვებში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით), ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

მხარდაჭერის რესურსები: მეცნიერებასთან დაკავშირებულ კურსებზე SALiS კვლევით ცენტრში ჩატარებული ლაბორატორიული აქტივობები.

პროგრამა სთავაზობს დაბალანსებულ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, რაც მხარდაჭერილია მაღალი ხარისხის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ხელმისაწვდომობით და ინსტიტუციური პარტნიორობით, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერდისციპლინურ სწავლებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - განათლების ადმინისტრირება, მაგისტრატურა

მხარდაჭერის რესურსები: პროფესიული სემინარები, კვლევის ხელმისაწვდომობა და ემპირიული კვლევის შესაძლებლობები.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის კომპონენტი შედარებით მცირეა, ის სათანადოდ შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელობის ფოკუსს და მხარდაჭერილია ინსტიტუციური რესურსებით ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო კვლევებისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - განათლების მეცნიერება, დოქტორანტურა

კვლევის ინსტრუმენტები: სტუდენტებს აქვთ წვდომა ინტერდისციპლინურ კვლევით ცენტრებზე და ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურაზე.

მხარდაჭერის რესურსები: ძლიერი თანამშრომლობა განათლების კვლევით ცენტრთან და წვდომა ინოვაციური განათლების კვლევით ცენტრზე.

პროგრამა ინტენსიურად კვლევითია და დოქტორანტებს სთავაზობს აუცილებელ მეთოდოლოგიურ და ანალიტიკურ ინსტრუმენტებს ორიგინალური, მაღალი დონის ემპირიული კვლევების ჩასატარებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), სასერტიფიკატო

მხარდაჭერის რესურსები: SALiS ცენტრში ჩატარებული ყველა საბუნებისმეტყველო კურსი და ლაბორატორიული კვლევა.

პრაქტიკის შესაძლებლობები და სპეციფიური ლაბორატორიული ინსტრუქცია ხელს უწყობს პროფესიულ მზადყოფნას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა), სასერტიფიკატო

